# საერთო გაზეთი

№12 (517) • 3 აპრილი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## ხიბულა ანუ გზა იქიდან უნდა გაგრძელდეს, სადაც ის შეწყდა

ბიძინა ივანიშვილის მიერ ხიბულაში გაკეთებული მიმართვით, ახალი ეტაპი დაიწყო და ახალი მიზანი გამოიკვეთა – ეს არის ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე ორიენტირებული იმ ახალი ყაიდის ქართული სახელმწიფოს შექმნა, რომელზეც ოცნებობდა და რომელსაც შეეწირა ზვიად გამსახურდია.



# სამშობლო – დავიწყებული დიადი სიტყვა

## ზვიად გამსახურდიას ბანდიტად მომხსენიებელ სანდრას რას მოუვა, მაგასაც განახებთ! სანდრა არა, კოპეშია!



## საწუხილო ჩანაწერები სამეგრელოს გულიდან...

## დავით მაღრაძეს ძალიან კი სურს, მაგრამ მისგან არც მატეო ფალკონე გამოვა და არც ხევისბერი გოჩა





როცა თემურ ჩარკვიანი, რომელმაც მთელი სიღნაღი თითქმის ხელახლა ააშენა, მიხვდა, რომ სააკაშვილი და ადეიშვილი გადახდას საერთოდ აღარ აპირებდნენ, ჩარკვიანმა ოჯახს გამოსამშვიდობებელი წერილი დაუტოვა და თავი მოიკლა...

## „ახალმა საბანკო რეგულაციებმა, სიკეთის ნაცვლად, შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიღოს“

## „დედაენის“ წართმევას ყოველთვის ცდილობდნენ, მაგრამ ვერასოდეს ახერხებდნენ ამას“

## დედამიწის სირცხვილის წიგნი

დედამიწაზე ყოველწლიურად ათიათასობით ბავშვი უკვალოდ ქრება

# ხიბულა ანუ გზა იქიდან უნდა გაგრძელდეს, სადაც ის შეწყდა

29 მარტს ხიბულაში ბიძინა ივანიშვილის ჩასვლით და იმ ტრაგიკული ადგილის მონახულებით, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აღესრულა, ვფიქრობ, ის ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა, რითაც საქართველოს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს.

„ორი დღის შემდეგ მნიშვნელოვანი თარიღი დგება, 31 მარტს ზვიად გამსახურდიას ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა.

ეს დღე ბევრ მივიწყებულ ტკივილს გაგვიღვიძებს, ბევრ რამეს გაგვახსენებს და ჩვენ მართლაც გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და უახლოესი წარსულის სწორი ანალიზი. იმ უახლოესი წარსულის, რომელიც სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული ისტორიით იწყება. როგორ მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძოდა, რომელმაც რეალობად აქცია მრავალი თაობის ოცნება და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცოტა ხანში სწორედ ამ დამოუკიდებელ საქართველოში ტრაგიკულად დაიღუპა ისევ საკუთარი თანამემამულეებისგან დაუნდობლად დევნილი.



აქვე აუცილებლად უნდა ითქვას — ის, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებები დღემდე გამოუძიებელია, არის ჩვენი ქვეყნის დიდი სირცხვილი. ეს საქმე აუცილებლად და დროულად უნდა მივიდეს ბოლომდე და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. როგორ და რატომ მოხდა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარიჟრაჟზე, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა ერთიანობა, ამ დროს ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ და ქვეყანა დავანგრიეთ. არ იქნებოდა სწორი გარეშე მტრისთვის ყველაფრის დაბრალება, მტერი ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მტერი უნდა იქცეოდეს, ჩვენ ჩვენი შეცდომები უნდა გავაანალიზოთ და ის მიზეზები მოვძებნოთ, რაც ამ შეცდომების დაშვებას გვაიძულებს“ — ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება, ფაქტობრივად, ახალი პოლიტიკური მიმართულების იდეოლოგიური პლატფორმის ერთგვარი პროექტია, რომლის ხორცშესხმასაც აპირებს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში.

ბიძინა ივანიშვილმა ხიბულაშიც გაიმეორა მისი ბოლოდროინდელი განცხადებების მუდმივ რეფრენად ქცეული ფრაზა — ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

ამ პრინციპით თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას არამარტო „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიან რეჟიმს, არამედ გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარ მოვლენებსაც.

ჩვენ ხშირად ვიმეორებთ, რომ აუცილებელია დადგინდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებები, რაც, საბოლოო ჯამში, იმის მოთხოვნამდე დადის, რომ გაირკვეს, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს?

ამ კითხვას, რა თქმა უნდა, კვალიფიციური და ობიექტური გამოძიების საფუძველზე აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ არსებობს გამსახურდიას ტრაგიკული ალსასრულის განმაპირობებელი დრამატული მოვლენები, რომლებსაც არც გამოძიება ჭირდება, არც სკრუპულოზური გამოკვლევა — ყველაფერი ზედაპირზე დევს, ყველაფერი სახეზეა, უბრალოდ, საჭიროა ამ ყველაფრისთვის თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა, როგორც ამას ბატონი ბიძინა ივანიშვილი ბრძანებს.

**ზვიად გამსახურდია თუ მოკლეს, ის მოკლა ყველამ, ვინც 90-იან წლებში იარაღი აიღო ხელში და დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხშედგმულ საქართველოს ომი გამოუცხადა.**

**ზვიად გამსახურდიამ თუ თავი მოიკლა, ის თვითმკვლელობამდე მიიყვანა ყველამ, ვინც მას იარაღით გამოეკიდა და ხიბულის ჩიხთან მიმწყვდეულს გადარჩენის არანაირი შანსი არ დაუტოვა.**

90-იან წლებში მომხდარი დანაშაული — ეს არის კოლექტიური დანასაული ქვეყნისა და ხალხის წინაშე, როცა ქართველთა ერთმა ნაწილმა საკუთარი სამშობლო დაიპყრო, კანონიერად არჩეული მისი ხელისუფლება დაამხო, ქვეყნის პრეზიდენტი კი მოკლა ან მეორე ვარიანტით, თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

ამ კოლექტიურ დანაშაულს, ცხადია, ჰყავდა თავისი „გლავარები“, თავისი ბოსები და ლიდერები, რომლებიც საკუთარ სამშობლოზე და საკუთარ ხალხზე ამ „ძლევამოსილი“ გამარჯვების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ და მთელი ათი წელი ყვლეფდნენ და ძარცვავდნენ ქვეყანას.

თუმცა რატომ მხოლოდ ათი წელი და არა ათ წელს პლიუს სააკაშვილის სისხლიანი „მეფობის“ კიდევ ცხრა წელი?

სააკაშვილი შევარდნაძის პირდაპირი სამართალმემკვიდრეა, მის მიერ ხელდასმული, მის მიერ გზადალოცვილი, რომელმაც შევარდნაძის სისხლიანი რეჟიმი სახელოვნად გააგრძელა და შევარდნაძის მიერ დახვავებულ ქართველთა გვამებს ორი იმდენი დაამატა.

ამდენად, ათი კი არა, სინამდვილეში ცხრამეტი წელი გასტანა სამხედრო გადატრიალების გზით მოსული კრიმინალურ-პოლიტიკური ძალების თარეშმა საქართველოში და მას მხოლოდ 2012 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დაესვა წერტილი.

**ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ სააკაშვილი კი არ დაუმარცხებია, არამედ მან დაასრულა სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ორი მოძალადე ხელისუფლების ცხრამეტწლიანი პერიოდი.**

ზემოთხსენებული კოლექტიური დანაშაულის მოთავეთა და აქტიურ მონაწილეთა ერთი ნაწილი დღესაც



ცოცხალია და დღემდე სარგებლობენ გარკვეული პროვილეგიებით — თითქოს საკუთარი სამშობლოს დამარცხებით და გაპარტახებით ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეები გააკეთეს და ამ დიდი „დამსახურებისთვის“ სიცოცხლის ბოლომდე პატივში უნდა გვყავდნენ.

ისინი ყველგან არიან — პოლიტიკაში, ბიზნესში, მედიაში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, სასამართლოებში, პროკურატურაში, სამართალდამცავ ორგანოებში და ა. შ.

ბიძინა ივანიშვილმა ხიბულაში ჩასვლით, ფაქტობრივად, დისტანცირება მოახდინა იმ ძალებისგან, რომლებმაც საბედისწერო როლი ითამაშეს გასული საუკუნის 90-იან წლებში დატრიალებულ ტრაგიკულ პროცესებში და ქართული სახელმწიფოს წინსვლა და განვითარება ათეული წლებით დაამუხრუჭეს და უკან დახიეს.

სწორედ ამ ძალებისგან დისტანცირებით უნდა აიხსნას ზოგიერთი პერსონის მოულოდნელი დაპირისპირება და გალაშქრება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

პუტჩისტები და მისი იდეოლოგიური მხარდამჭერები, ცხადია, ვერ შეეგუებიან იმ კონკრეტულ ნაბიჯებს, რაც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გადადგა ზვიად გამსახურდიას ღვაწლის წარმოსაჩენად, რასაც აუცილებლად მოჰყვება 90-იან წლებში მომხდარი ტრაგედიის ფართო და სრულფასოვანი ანალიზი, რაც კატასტროფაა მათთვის, რადგან დგება საშიშროება, რომ კიდევ ერთხელ გაიშიფროს და დღის სინათლეზე გამოვიდეს მათი ნაავკაცარი.

საზარელი, საშინელი, სულისშემძვრელი ამბები დაატრიალეს 90-იან წლებში ვითომ გამსახურდიას დიქტატურის (!) დასამხობად და ვითომ დემოკრატიის დასამყარებლად საქართველოს შესეულმა ქართული წარმოშობის ბანდებმა, რომლებიც გაუგონასი სისასტიკით უსწორდებოდნენ თავიანთ ძმებს, ქართველებს, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს.

ქვეყნის ნგრევა-პარტახი, უამრავი მსხვერპლი, ციხეებში ჩაყრილი ათასობით უდანაშაულო ადამიანი, ქვეყნიდან იძულებით გაქცეული ათიათასობით ქართველი, საკუთარი სახლ-კარიდან აყრილი და ლტოლვილებად ქცეული მოსახლეობა, დაკარგული ტერიტორიები — აი, არასრული ჩამონათვალი იმ უბედურებებისა, რაც ზემოთნახსენები ბანდების და კრიმინალური დაჯგუფებების, „დემოკრატიისთვის მებრძოლი“ ფსევდოპოლიტიკოსების და ინტელიგენციის ერთი მედროვე ნაწილის „გმირული საქმეების“ წყალობით მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა საქართველოს სულსა და სხეულზე.

ბიძინა ივანიშვილის მიმართვით, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, ახალი ეტაპი დაიწყო და ახალი მიზანი გამოიკვეთა — ეს არის ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე ორიენტირებული იმ ახალი ყაიდის ქართული სახელმწიფოს შექმნა, რომელზეც ოცნებობდა და რომელსაც შეეწირა ზვიად გამსახურდია.

„ჩათვალეთ, რომ ამას ის კაცი გიკეთებთ, ვინც აქ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა“, — ასეთი საოცარი სიტყვები უთხრა ბიძინა ივანიშვილმა ხიბულელებს.

არ არის გამორიცხული, როცა 2020 წლისთვის თვისობრივად ახალი ქართული სახელმწიფოს მშვენიერი შენობის კედლები უკვე ამოყვანილი იქნება, ბიძინა ივანიშვილმა იგივე სიტყვები უთხრას ქართველებს, რაც ხიბულაში თქვა: ჩათვალეთ, რომ ეს შენობა მხოლოდ მე კი არა, პირველ ყოვლისა, ზვიად გამსახურდიამ და იმ გმირებმა აგიშენეს, რომლებმაც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის გაწირეს სიცოცხლე.

**ვახტანგ ხარჩილავა**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# საწუხილო ჩანაწერები სამეგრელოს გულიდან...

## ზვიად გამსახურდიას ბანდიტად მომხსენიებელ სანდრას რაც მოუვა, მაგასაც განახებთ! სანდრა არა, კოპეშია!



### უფშვიტინე და მისი ცოლი

ისე, რომ ვიკითხო რამე ხომ არ დაშავდება, უფშვიტინე ჩუტყვავილას ცოლად წოდებული, ოდესღაც, იმ ავადმოსაგონარ წუწრუწუნა დროში, ჩვენი გასაცოდავებული ქვეყნის პირველი ლედი, თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატია თუ ზუგდიდის???

რა ვიცი, გენაცვალეთ, იმ ჰარი- ჰარად წარდგენაზე, დედაქალაქში რომ მოაწყვეს ნაცებმა ევრონაცებმა, ზუგდიდელი ვერავინ შევნიშნე და…

ქალბატონყოფილ სანდრინი-



ოს უთქვამს: აქ, სად გამოვაჩინოთ ეს ზუგდიდელები, მაგათთვის იქ მოვაწყობთ ცალკე წარდგენასო! – ვაი, შენს პატრონს უბედურს, შენი დასაცინი და დასაწუნებელი რომ გახდებიან მეგრელები!!!

თუ ჩემი დასაცავი და შესაბრალებელი გახდებოდნენ ზუგდიდელი ნაცები და ევრო-ნაცები, ამას როგორ ვიფიქრებდი, მაგრამ სანდრა ტომ და ჯიშ არეული ქალის საქილიკოდ ნაღდად არ მემეტებიან, რაც არ უნდა იყოს, ერთი სისხლისანი ვართ!..

ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ მიშა ჩუტყვავილას დრო – წასულია, წასული..

წასული კი – წარსულია!..

**P.S.** ჰო, დამავიწყდა მეკითხა, ნიკანორ მელია რატომ არ გიმშვენებდათ გვერდს – საზეიმო წარდგენაზე?

გოცირიძეს უთქვამს, კუპონების ლომს: განაწყენებულია მელია, სანდრათი რომ ჩაანაცვლეს და იქ რას მოვიდოდაო? ის კი არა, გიორგი ბარამიძეს ისეთი ალიყური აჭამა ნიკანორმა, მაშინ აზანზარებული ჭაღები – დღესაც ჭრიალებენო!!!

კიდევ – კობა ნაყოფიას ვენდობი მხოლოდო, უთქვამს მიშაია ჩუტყვავილას. მაგია ერთგული კაციო!..

მე კიდევ ის გამკვირვებია, ამ საბედიანოელ კაცს რა ჯანდაბა უნდა იმ უმისამართო, ძირუსაგნო უფშვიტინესთან?!

მოკლედ, "მიდის ოპერა ლაკმე – ბუტაფორიის შეხლა!"..

### ეჰ, სანდრა, სანდრა, სორე მიოწკანტრა

ხომ ვიცოდით, რომ სააკაშვილისთვის სამშობლო და მეგობრობა არაფერს წარმოადგენდა, ეს სულიერად უთვისტომო და ცვედანი არსება, უმეგობრო ტიპაჟი გახლდათ. პრეზიდენტობის დროს ყველა მინისტრსა თუ თანამებრძოლს უდიერად მოიხსენიერდა და ულირსად ეპყრობოდა. სიყმაწვილეში "ჩმორმა" და "შპიონმა", ჩაიგდო თუ არა ხელში ძალაუფლება, შურისძიებით შებყრობილმა, – უმალ ძლიერებაზე, ვაჟკაცობასა და ღირსებაზე გაილაშქრა!.. მისი ავხორცობისა ეშინოდათ, მის უზნეობას გაურბოდნენ. ყველა, ვინც ამ დამთხვეულის გარშემო ტრიალებდა და ასე თუ ისე, შესახედავი, თვალშისაცემი მეუღლე და შვილები ჰყავდა, ფრთხილობდა. ოჯახის წევრებს უმალავდნენ ამ ჩუტყვავილა კაცს. ამ არამზადობის სიმბოლოს. იმის შიშით, რომ გავლენებს დაჰკარგავდა პარტიასა და ქვეყანაში, ფეხებზე დაიკიდა სანდრაზე ბევრად მომგებიანი ნიკანორ მელია და ოდესღაც მისი თანამეცხედრე წამოაყენებინა ზუგდიდში მერობის კანდიდატად. არადა, ხომ "გაასხა" ერთხელ ამ "მოელარჯე" ქალმა და სრული გაფარჩაკების შიშით, შუა გზაზე მიატოვა ბრძოლა "ოცნების" კანდიდატთან?! ამ გაფოჩებულ ქალს იმისა სჯერა, რომ თავისი ორი კაკალი მეგრულითა და ერთსტროფიანი "დიდოვ ნანათი", გავა ფონს! მასე რომ იყოს, "ჩვენო ნოსაყოფილო", ქიონია ფარფალიასთანა მეგრული, ჩონგური და ხმა-მეგრული მეორე არ მოიძებნება დუნიაზე და ავირჩიოთ მაშინ თვალჟუჟუნა ქიონია მერად! ეჰ, სანდრა, სანდრა, ჩვენ ჩვენი გაგვჭირვებია მეგრელებს, შენ კიდევ შენი გიჟი ქმარყოფილი და მოდი ნუ შევაწუხებთ ერთურთს!.. სანდრა "მვირფასო", სათაურად გამოტანილ მეგრულს ვერ გაიგებდი და მოდი გითარგმნი: ეჰ, სანდრა, სანდრა, სად მიკუსკუსებ-მეთქი! – ხომ გაგიგია, უკან ზღვა და წინ მეწყერიო, ჰოდა, ასეთ უგზოობით გამოუვალ სიტუაციაში, ერთი გამოსავალი არსებობს მაინც: აფრინდე და გაფრინდე იმ შენს ქვეყანაში და ერთხელ და სამუდამოდ დაეთხოვო მიშას სიგიჟეებს, დაისვენო შენც და დაგვასვენო ჩვენც. დავიღალეთ, ადამიანო, ამდენი ძაგებითა და გინებით, კი არ გვიხარია და მოგვწონს, მაგრამ სხვა ენასა და საუბარს, ისეთი უჯიშოები ხართ, კაცი ვერ გაგაგებინეთ თქვენ და ახლა ხელახლა ავიპილპილოთ უნდა მეტყველების ორგანო და ცოდვა ხარ, ვიცი, აგენტობისა გამო პოლიტიკურად ვერ ეყრები იმ შენს გამოარაფრებულ ყიყლიყოს, მაგრამ ჩვენც შეგვიბრალე, შე ქალო, არ გვინდა მიწასთან გაგასწოროთ მთლად, ქალი ხარ მაინც, და ნუ ჩაგვაყენებ გამოუვალ მდგომარეობაში… თორემ, გაბითურებულსა და გასაცოდავებულს, შეგახსენებს მერე ვიღაცა იქნება ქართულ ანდაზას: "რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!".. აბა ჰე, დაფიქრდი!..

### ა, ბატონებო, მიზეზიცა და საბაბიც

მოჩემარი და კაცთმოძულე არავის ვეგონო!.. ვინც ეროვნულ ეთნომენტალობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს, ვინც ჩვენს კულტურასა და ტრადიციას შეურაცხოფას მიაყენებს, ვინც უზნეობას წესად გაიხდის, ვინც მშობლიურ ენაზე წინ სხვა, ნებისმიერ ენას დააყენებს და "დედაენის" სწავლებას ამოიღებს სკოლიდან – ყველას დაუძინებელი მტერი ვიქნები!.. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, პოლიტიკური შესაძლებლობების ძალადობრივ სიბრტყეზე გადატანა, საპროტესტო დემონსტრაციებისა თუ შეკრებების დარბევა – აკრძალვა, ადამიანის დამცირება- ჩაგვრა!.. ასევე ვერ მოვითმენ კანონზე მაღლა პიროვნების, ვინც არ უნდა იყოს ის, და რათანამდებობაც არ უნდა ჰქონდეს – დაყენებას… ჩემთვის, როგორც ბუდექართველისთვის, უმთავრესი მწვერვალი ღირსებისა და ბედნიერებისა- საკუთარი სამშობლო და მისი აღმატებულება ქართველი ერია, მშობლიური ენის ჯანმრთელობა და უფლის დიდებაა, ვინც ამ საუნჯეთა წინააღმდეგ თუნდაც ერთ ნაბიჯს გადადგამს, მისი დაუძინებელი და შეურიგებელი მტერი ვიქნები დღენიადაგ!.. ასევე, წმინდა და ხელშეუხებია ჩემი ოჯახის პატიოსნება და ცა-ღვთიურობა, მასთან მზაკვრულ მიახლოებასაც კი არავის შევარჩენ!.. ა, ბატონებო, მიზეზი და საბაბი იმისა, თუ რატომაც ვემტერები ნაც-ბანდას!.. ან, ზვიად გამსახურდიას შემდგომ, როგორ შეიძლება სააკაშვილი და მისი დარი ქარიყლაბია უტრუხუნეები მოგეწონოს მართალ კაცს?!..

### მიმართვისნაირი ნამცვრევი „ნაცებს“

"ნაცუშკებო", გავიგე ყველაფერი, რაზეც მსჯელობთ თქვენს "ხავერდოვან" ოფისში. ერთი გვასალია ვერ გავაჩერეთ და მალე მასაც მივხედავთო!… სხვებისგან არ გამკვირვებია, მაგრამ შენგან მაინც გამიკვირდა მურთაზ (ზოდელავა), უპატიოსნესი დედ-მამის შვილი ხარ და ეგ არ უნდა გეკადრებინა!.. "ისეთ რამეებს გავუჩალიჩებთ, ენას მუცელში ჩავაგდებინებთო"! "თავს მოვაკლევინებთო" და მისთანები – მელია და კონჯარია წიწმატობდნენ თურმე განსაკუთრებით!.. ისე აგიდგათ გვერდები თქვენ, რამდენიც ჩემი დადუმება ვერ შესძლოთ!.. გაჩერდით წყნარად თორემ ისეთ დღეში ჩაგაგდებთ- თქვენივე ხორცს, თქვენივე კბილებით იგლეჯდეთ!.. ასეთი ქვეშქვეშობითა და ბოროტებით ძალგიძთ პაექრობა, სხვა რა შეგიძლიათ, თქვე მართლა სულით კუზიანებო და არსით ბანდიტებო!.. ყველაფერი ვიცი, რასაც ჩიფჩიფებთ და გამოვფენს თქვენს სომხური ლავაშივით გაბრტყელებულ, სიცრუითა და გესლით ამყროლებულ "ენებს" სამზეოზე… მინდა ხალხმა კიდევ უფრო ახლოს გაგიცნონ – როგორი ამყროლებული და თუქსუსებიცა ხართ! რაც შეეხება ჩემს შეშინებას, ნამეტანი შემცდარხართ… თუ რატომ ამას განახებთ! მანამდე ჩემს მეგობარყოფილ და ოდესღაც თანამებრძოლ, განაცებულ "ზვიადისტებს" შეეკითხეთ!.. ეჰ, თქვენი ქადილი არ გაიშვას, თქვე ჩუტყვავილას მიმდევრებო, თქვენა!

არეულობააო ნაცეთის საყველიეში, გაუძოღანდათ კუსკუსელა კანდიდატი – ჩუტყვავილას დამჭკნარი ვარდი, ახლის შერჩევაც გაუჯანჯლდათ, მელიას აგრესიული ტონი და შესაბამისი კამპანია არ გაჭრის უკვე, ისეთ ალიყურს მიიღებს ტანმაღალი ნიკანორიდღისით ელანდებოდეს და ღამით ესიზმრებოდეს… მოკლედ, ნამეტან ცუდ დღეში არიან მეცუდეები, ანუ ნაცები!..

**ვისაც ჰგონია, რომ ჩუტყვავილა სააკაშვილის სანდრას დავუთმობთ ზუგდიდს ნაცბანდების საძულნაოდ, ძალიან შემცდარა.** ზვიად გამსახურდიას ბანდიტად მომხსენიებელ სანდრას რაც მოუვა, მაგასაც განახებთ! სანდრა არა, კოპეშია!

**ლაშა გვასალია**









(წერილი მეორე)

# მორიელთა კვალდაკვალ



ბატონო ბიძინა, ალბათ გახსოვთ (შეიძლება არც გახსოვდეთ), 2012-ში სააკაშვილის ბანდამ „ქართუ ბანკის“ მანქანა რომ დააყაჩაღა და 80 მილიონი ლარი წაიღო. როცა პრემიერ-მინისტრი გახდით, თქვენ ეს ფული დაიბრუნეთ და კახელ მევენახეებს აჩუქეთ, რადგან იმ წელიწადს თელავი და გურჯაანი მაგრად დაისეტყვა. სიმართლე გითხრათ, ეს იყო უმადურობის პირველი ტესტი, სადაც ჩემებურები ყველა საკითხში ჩაიჭრნენ. ჯერ ერთი, მიუხედავად ამხელა პატივისცემისა, დაიწყეს აგრესიული გამოხტომები: ეგე, მოვიდა ივანიშვილი, თავისი ფული დაიბრუნა, სხვა საქმეებს კიდე ყურადღებას არ აქცევს, ჰკიდიაო. მაშინ, 2013 წელს მეც გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ მოსახლეობა სიმართლეში თავად გაერკვეოდა და „ნაცების“ მიერ აგორებულ შავ პიარზე ძალიან ბევრს იცინებდა. შევცდი, შემდგომში ისეთების პირიდან მოვისმინე მსგავსი სისულელეები, ვისაც კომპენსაცია გადაუხადეთ საკუთარი ჯიბიდან, ვისაც „წილი“ ერგო იმ 80 მილიონიდან. მეორე – თქვენ ხომ ის ფული იმისთვის გააჩუქეთ, რომ კახელ მევენახეებს ვაზისთვის უნდა მიეხედათ, ანუ დასეტყვილი ვენახები აღედგინათ? დიახ, სწორედაც ასე იყო, მაგრამ მათ ვენახებისკენ აღარ გაიხედეს, მანქანები იყიდეს და ტაქსაობა დაიწყეს. ამას მოჰყვა სახელმწიფოს მხრიდან ხვნა-თესვის კამპანია მთელი საქართველოს მასშტაბით. მახსოვს, როცა პრემიერ-მინისტრი გახდით, დაახლოებით ორ კვირაში „ნაციონალი“ გიორგი ღვინიაშვილი პარლამენტში გედავებოდათ, ხალხს სავარგულების მოხვნას რომ დაპირდით, რატომ არ ასრულებთო? თქვენ მაშინ იცინოდით, მაცალეთ, ორი კვირის თავზე რა ხვნა-თესვაზე მელაპარაკებითო? მართალია, ჩვენ, წესიერ ოჯახებში გაზრდილებს გვეგონა, ესეც დიდი სისულელე იყო „ნაციონალების“ მხრიდან, მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, თურმე ჩვენმა გაუთვითცნობიერებელმა მოსახლეობამ ესეც დაიჯერა, ანუ ჩვენი მოსახლეობა აჰყვა შავ პიარს. ეს გახლდათ უმადურობის მეორე ტესტი – დაუხანით, დაუთესეთ, თავზე ხელი გადაუსვით, თუ არ ვცდები, სათესლე მასალაც შეუძინეთ და რა? მაგალითად, ჩემებურები ისე გათავხედდნენ თუ გაზულუქდნენ, მოსავლის აღებასაც თქვენ გავალდებულებდნენ. გამოგიტყდებით, ზოგმა ისე მოიწყვიტა წელი, მოსავალი არც აუღია. ბევრმა არ იცის და ახლა მე გავამჟღავნებ... სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, 2007–2008–2009 წლებში (კახეთის მაგალითზე გეტყვით) ყველა რაიონში გამოჩნდა ცინცხალი ტრაქტორები. მიშა დახტოდა ტრაქტორიდან ტრაქტორზე და მას შემდეგ, რაც გული იჯერა, ბრძანა, თითო სოფელს თითო ტრაქტორი გადაეცითო. როგორც ჩანს, ეს თქვენი თხოვნა იყო, რათა ყველა სოფელს ერთი ახალი ტრაქტორი მაინც ჰქონოდა, მაგრამ ასე არ მოხდა – ფორმალურად კი გადასცეს, მაგრამ მთელი ტექნიკა რაიონებში მოკალათებულმა „ნაციონალმა“ ბობოლებმა ჩაიგდეს ხელში და დაიწყეს გაქირავება. ამ ყველაფერს ხალხის თვალში სააკაშვილი საკუთარ თავზე იწერდა. იმ ხანებში **ჯუმბერ პატიაშვილს** შევხვდი, ქართული სოფლის პრობლემებზე ვისაუბრეთ, წარსული გავაანალიზეთ და ბოლოს მეუბნება – გინდა ერთი საიდუმლო გაგიმხილოო? მაშინ ბატონი ჯუმბერი პარლამენტარი გახლდათ, აგრარულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. გამიმხილეთ, აქ სწორედ ამისთვის ვარ-მეთქი. აი, რაიონებში ტრაქტორები რომ შემოვიტანეთ, ბიძინა ივანიშვილმა გვაჩუქა, თან გვთხოვა, ჩემი სახელი არ ახსენოთო. აგერ არის ჯუმბერ პატიაშვილი, აგერ ხართ თქვენ, გამოვიდეს და თქვას, ასე თუ არ იყო. მაშინ თქვენი არსებობის შესახებ მხოლოდ ლეგენდის დონეზე ვიცოდით, ფოტოზეც არ გვყავდით ნანახი და ბუნებრივია, ეს ამბავი მეც ჩვეულებრივად გავატარე, ერთმა ბიზნესმენმა ტრაქტორები იყიდა – მერე რა? ახლა კი ამით იმის თქმა მინდა, რომ თქვენ გაცილებით ადრე ზრუნავდით ქართულ სოფელზე, ვიდრე პოლიტიკაში მოხვიდოდით. რაო, როგორ აღიქვეს შემდგომში განვითარებული მოვლენები ჩვენს მოსახლეობაში? კვლავ უმადურობა – ეგაო, იმიტომ სჩადიოდა ამდენ სიკეთეს, რომ წინასწარ ჰქონდა განსაზღვრულ-დაგეგმილი, პრემიერ-მინისტრი რომ უნდა გმხდარიყოო. ესე იგი, თქვენ იმიტომ ეხმარებოდით მთელი 30 წლის განმავლობაში ფარულად საზოგადოებას, რომ 30 წლის თავზე პრემიერის თანამდებობა „დაგერტყათ“. არა, კაცო, ჩვენ ხომ ვიცით, საქართველოში 30 წლით ადრე კი არა, 30 დღით, თუნდაც ერთი დღით ადრე ვერაფერს დაგეგმავ... თუ გინდა, დაგეგმე, მაინც არაფერი გამოგივა, მაგრამ ყოვლისმცოდნეებმა ხომ უნდა გამოამჟღავნონ „ექსპერტული“ განათლება?



კიდევ ერთს ვიტყვი წარსულზე და ამით მოვრჩები, მერე გადმოვალ აქეთ: დღეს კახეთში ზოგიერთნი ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ მიშა სააკაშვილმა სიღნაღი ააღორძინა, გაალამაზა და ამ ქალაქს ტურისტული ფუნქცია შესძინა. არ დაგიმალავთ, ასეთი ცრუ პროპაგანდამ საპრეზიდენტო არჩევნებში მაგრად იმუშავა.



სამწუხაროდ, არც დეპუტატებმა და არც ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებმა არ იციან, რა მოხდა სინამდვილეში. რომ იცოდნენ, მოსახლეობას გააგებინებდნენ. ესე იგი, შეიძლება პირადადაც იცნობდით მშენებლობის ყოფილ მინისტრს, **თემურ ჩარკვიანს**. მინისტრი იყო შევარდნაძის დროს, ხოლო შემდეგ სააკაშვილმა შეიყვანა პარლამენტში, რათა კარგად მოეწველა. ეს კაცი ბათუმელი გახლდათ, საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და სამშენებლო ბიზნესიც ჰქონდა. როდესაც სააკაშვილმა სიღნაღის აღორძინება გადაწყვიტა, დეპუტატი ჩარკვიანი იხმო თავისთან და უთხრა, სიღნაღში სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები შენი ხარჯებით ჩაატარე, ამასობაში ბიუჯეტიდან თანხებს გამოვყოფთ და ბოლო კაპიკამდე ჩაგირიცხავთო. ენდო ეს კაცი სააკაშვილს სიტყვაზე. თუმცა სიტუაცია ტრაგიკულად დასრულდა – ჩარკვიანმა ლამის ხელახლა ააშენა ძველი ქალაქი, დააგო ქვაფენილები, გადახურა სახლები, შეღება ფასადები და გადააგდეს, მილიონობით ვალი დაადეს. როცა თემურ ჩარკვიანი მიხვდა, სააკაშვილი და ადეიშვილი გადახდას საერთოდ აღარ აპირებდნენ, ოჯახს გამოსამშვიდობებელი წერილი დაუტოვა და თავი მოიკლა, შუბლში ტყვია დაიჭედა. მან ისიც დაწერა, რომ მთელი ცოდვა სააკაშვილ-ადეიშვილის კისერზე იყო. როგორც მოგვიანებით გავიგე, სიღნაღი წითელი თუნუქით თქვენი გადახურული ყოფილა და ეს გაგიკეთებიათ სრულიად უანგაროდ. ესე იგი, ააშენა ჩარკვიანმა, გადახურეთ თქვენ, რა შუაშია სააკაშვილი? იმ შუაშია, რომ თქვენ აკეთებდით – გაარემონტეთ 700-მდე სკოლა, თეატრები, რესტავრაცია ჩაუტარეთ 500-ზე მეტ ეკლესია-მონასტერს, კულტურის ძეგლს, აშენებდით ხიდებს, გზებს, სანერგე მეურნეობებს, ხოლო წითელ ლენტებს ჭრიდა მიხეილ სააკაშვილი.

თქვენი ქველმოქმედება ამათ, ამ არამზადებმა, რომელთა ხელიდან გამოსული საქმე არავის უნახავს, ერთი ხეც რომ არსად დაურგავთ, ერთი ადამიანიც რომ არ გადაურჩენიათ, ყველაფერი სხვანაირად მოთარგმნეს – ესაო, ბიძინა ივანიშვილი სიკეთეს ანგარებით აკეთებდა, ფაქტობრივად ძალაუფლება იყიდაო. ოდა, იმას ვამბობდი... ერთი რომ ამდენს აკეთებს და მეორე იბრალებს, ჩემი აზრით, ეს არის ძალიან დიდი მკრეხელობა და ძალიან დიდი ცოდვა.

თუ არ ვცდები, ერთმა რომაელმა იმპერატორმა წამოიძახა, როცა ერთ-ერთმა სენატორმა გაუჩმახა, შენ რაღა გინდა, შენთვის ხომ ცხოვრებაში კარგი არაფერი გამიკეთებიაო? დაახლოებით მსგავსი რამ ქართულადაც არის ნათქვამი – ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო. ბოლო-ბოლო, მორიელისა და კუს ამბავი გავიხსენოთ:

ბატონო ბიძინა... ამ წერილის დამთავრებას ვაპირებდი, როცა თქვენ ხიბულაში ჩახვედით (მკითხველებს შევახსენებ – ეს არის სოფელი ხობის რაიონში, სადაც ზვიად გამსახურდია დაიღუპა) და იქაურებს დაპირდით გზის გაკეთებას, გაზის გაყვანას, პარკის მოწყობას და იმ საბედისწერო სახლის აღდგენას. თქვენ იქაურებს ასევე უთხარით: ჩათვალეთ, რომ ამ ყველაფერს ზვიადი გიკეთებთო. ვიმეორებ, თქვენ თქვით, ჩათვალეთ, რომ ამ სოფელს ზვიადი აგიყვავებთო... მაგრამ რა თქვა იგივე ზვიადის შვილმა – კოკო გამსახურდიამ? მართალია, ეს პოპულისტური ნაბიჯია, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. არავითარი მადლობა, არავითარი თავმდაბლობა... ეს პოლიტიკური თვალსაზრისით ისევ ივანიშვილს სჭირდებაო. მეტსაც გეტყვით, იგივე ზვიადის მეორე ვაჟი – ცოტნე დღესა და ღამეს თქვენს შეურაცხყოფაში ატარებს. მე არ მიკვირს, როცა გენიალურ ადამიანებს ხშირად დებილი შვილები გამოსდით, მაგრამ ასეთი? ასეთი უზნეოები? არ ვიცი, ღმერთმანი!

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში მაინც არიან ადამიანები, რომლებიც თითოეულ ნაბიჯს დაგიფასებენ. ბოლო-ბოლო, უფალი ყველაფერს ხედავს.

პატივისცემით,

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი“



## დავით მაღრაძეს ძალიან კი სურს, მაგრამ მისგან არც მატეო ფალკონე გამოვა და არც ხევისბერი გოჩა

***გვესაუბრება საზოგადოებრივ მოძრაობა „თორმეტიანელები ღირსეული საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი, ბატონი მერაბ შათირიშვილი:***

**— რამდენადაც ვიცით, თქვენ აქტიური მუშაობა დაიწყეთ რეგიონებში, რას ისახავს მიზნად თქვენი ქმედებები და რა მდგომარეობაა რეგიონებში პოლიტიკური განწყობის თვალსაზრისით?**

— ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ახლახან დასავლეთ საქართველოს რაიონებში გახლდით. უახლოეს დღეებში კახეთში ვაპირებთ წასვლას.



დასამალი უკვე აღარაფერია. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, „ქართული ოცნების“ მიერ გარიყული და დამოუკიდებელი აქტივი — „თორმეტიანელები“, რომელთა ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, მთელი ძალით ჩავერთეთ და მნიშვნელოვანი წვლილიც შევიტანეთ მეორე ტურის გამარჯვებაში.

წინ კიდევ დიდი ბრძოლები და დიდი გეგმებია განსახორციელებელი. დეტალებზე რომ არ დავწვრილმანდეთ, დაინტერესებული საზოგადოება ყველაფერს შეიტყობს ოთხ მაისს, 16 საათზე, პროფკავშირების სახლში, სადაც დიდ საზოგადოებრივ შეკრებას ვაპირებთ. მთავარი ამოცანა მაინც ის არის, რომ არ დაიკარგოს, რაც მოვიპოვეთ 2012 წელს, ერთიანი ბრძოლით. ჩვენ პრინციპულად ვერ შევეგუებით „ნაცმოძრაობის“ რეანიმაციას და ვერც იმას, რა სახითაც დგას დღეს „ქართული ოცნება“. ასეთი „ქართული ოცნება“ პატიოსან ქართველებს არ გვჭირდება. ამ პარტიამ უნდა დაიბრუნოს ის იმიჯი, რომელიც ჰქონდა 2012 წელს და რომლის შექმნის ინიციატორი იყო თავად ბატონი ბიძინა ივანიშვილი 2011 წელს.

მე, პირადად, ძალიან არ მოწონს ის „ქართული ოცნება“, რომელმაც 2018 წლის I ტურის შედეგი დააყენა. სიტუაცია უნდა გამოსწორდეს, ვფიქრობ, ამიტომაც დაბრუნდა „ქართულ ოცნებაში“ ირაკლი ღარიბაშვილი.

**— მაგრამ „ქართული ოცნება“ რომ თანდათან ირღვევა?**

— გასაგებია, მაგრამ, მაგალითად, თუ ეკა ბესელიამ დატოვა „ქართული ოცნება“, ეს არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ გავიდა, ასე ვთქვათ, „მომსახურების ზონიდან“. მე არ მგონია და არც არის ასე, რომ ეკა ბესელია და მისი თანამოაზრეები ბიძინა ივანიშვილის იდეის წინააღმდეგნი იყვნენ, ან გულგრილად დაკარგავენ 2012 წლის მონაპოვარს. ყოველთვის, როცა ეკა ბესელია ტელევიზიით გამოდის, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას სხვა გზა, გარდა გაჯანსაღებული „ქართული ოცნებისა“ არ აქვს და არც უნდა ჰქონდეს. იმის მიუხედავად, რომ „რუსთავი-2“ მის გამოსვლებს განხეთქილების მაპროვოცირებლად იყენებს.

თუ დააკვირდებით, ქალბატონი ეკა არასდროს არ აკეთებს ბიძინა ივანიშვილის მადისკრედიტებელ განცხადებებს. ის უპირისპირდება ვანო ზარდიაშვილს, ირაკლი კობახიძეს და ამ ადამიანებთან ასოცირებულ სუბიექტებს.

ცალსახად ვაცხადებ: პირადი შეხვედრა იქნება თუ საზოგადოებრივი, ყველგან მივალ და სიამოვნებით მოვუსმენ ქლაბატონ ეკას, მაგრამ თუკი ის მე დავით მაღრაძის მიერ დაანონსებულ შეკრებაზე მეპატიჟება, იქ ვერ და არ მივალ.

ჩემი დაცვა არ სჭირდება „მის მეგობარს“, როგორც თვითონ უწოდებს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ყველას, ვინ ბრძანდება თავად დავით მაღრაძე. თუ ვინმეს დაავიწყდა, ვეტყვი, რომ ბატონი მაღრაძე სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მეგობარიც იყო, მათთან ერთად დადიოდა ინსტიტუტების აუდიტორიებში და შევარდნაძის წინააღმდეგ განაწყობდა სტუდენტებს. მანამდე ედურად შევარდნაძის მინისტრი გახლდათ, შევარდნაძის მინისტრობამდე ეროვნული კონგრესის წევრი იყო, რადგან გამსახურდიას იდეებს განუდგა...

ბოლო ხანებში ამბობდა, ივანიშვილი ჩემი მეგობარიაო. თვითონ კი ამბობდა, მაგრამ თავად ბატონი ბიძინასგან ამის დასტური არ გამიგონია.

როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა და უთხრა, რომ დავით მაღრაძე დიდი პოეტი არისო, მაგრამ რას ვუშვებით დროს, რომელიც თავად განაგებს, ვინ არის დიდი მწერალი, პოეტი და ა.შ.?

**— ანუ ფიქრობთ, რომ დავით მაღრაძე დიდი პოეტი არ არის?**

— დიდი მწერლები და პოეტები მე სხვები ვიცი საქართველოში...

გამაოგნებელი იყო მაღრაძის განცხადება — მომბეზრდა ყველა პარტია, სამშობლოს უნდა მივხედოთო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, „ნაცმოძრაობის“ მოყვანაში მისი წვლილიც რომაა შეტანილი? აგო ამაზე პასუხი? — რა თქმა უნდა, არა, მაგრამ „ქართული ოცნება“ მე მოვიყვანეო. თუ „ქართული ოცნების“ „მოყვანაშიც“ წვლილი აქვს, მაშინ ბოლომდე ზიდოს ტვირთი, სადღა გარბის? მაგრამ ეს კაცი ასე გადახტომა-გადმოხტომასაა მიჩვეული. როგორც ზემოთაც გითხარით, ზვიად გამსახურდიას გადაუდგა, ჯაბა იოსელიანის პროტექტორობით გახდა კულტურის მინისტრი. იოსელიანი რომ დაიჭირეს, შევარდნაძის წინააღმდეგ აღსდგა და „ნაციონალებს“ ამოუდგა მხარში, მერე ნაციონალებს“ განუდგა და „ოცნებას“ მიეტმასნა. ამდენი პოლიტიკური ბატალიებიდან ისე ძვრებოდა ყოველთვის, პასუხისმგებლობა არ აუღია. იგივეს აკაეთებს ახლაც, განწმენდილი უნდა გავიდეს „ქართული ოცნებიდან“.

მე ხშირად მწერენ სოციალურ ქსელში — გრძნობთ პასუხისმგებლობას თუ არა ხალხის წინაშეო?

უნდა გითხრათ: დიახ, „ქართული ოცენების“ ხეისუფლებაში მოყვანაში გარკვეული როლი მაკისრია და მის მიერ გაკეთებულ კარგ, თუნდაც ცუდ საქმეებზე პასუხს ვაგებ!

ბატონ ბიძინას სულ სამჯერ შევხვდი 2011 წლიდან დღემდე. ერთხელ გარკვეული ჯგუფის თანდასწრებით და ერთხელ ეპიზოდურად, თუმცა ვთვლი, რომ მე მისი თანამებრძოლი ვარ და არა მეგობარი.

**— დავით მაღრაძემ სერიოზულად იაქტიურა II ტურში, ბატონო მერაბ.**

— მომისმინეთ, ჩემო კარგო — ის ვალდებული იყო, ეს იყო მისი საქმე და საზოგადოებრივი დანიშნულება. „თორმეტიანელებმა“ 44 რაიონში ვიმუშავეთ და მინიმუმ, 5% დავდეთ, მაგრამ არასდროს გვიტრაბახია, ხელისუფლება გადავარჩინეთო.

ეს ვაჟბატონი, როგორც ჩანს, უკმაყოფილოა, რომ ვერ მიიღო საკმარისი დივიდენდები თავის შეწუხების გამო და ახლა სურს „ნაზლო“ დაანახოს თავის „მეგობარს“ თავისი „ძალა“.

**— რა ძალა აქვს ასეთი?**

— არ ვიცი, მაგრამ, რაღაც მესამე ძალაზე კი წამოიწყო ლაპარაკი. თუმცა როგორ აპირებენ ამ ძალის გამოკვეთას, ჩემთვის გაუგებარია. ამისთვის არც დროა და არც მდგომარეობა. ნაციონალებიც და „ოცნებაც“ უნდა წავიდესო, როგორც ჩანს, თვითონ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას (ეს ხუმრობით...).

მაღრაძემ 7 წელი იძახა, ბიძინა ივანიშვილი ჩემი მეგობარიაო, თავი იმით „გაიძლიერა“, რომ 7 წელიწადი ამ ე.წ. მეგობრობის იმუნიტეტით ისარგებლა და კარგადაც მოითბო ხელი.

დავით მაღრაძე დიდ ღონისძიებას აანონსებს ფილარმონიაში და ვის წისქვილზე დაასხამს ამით წყალს და ვისკენ იწმენდს გზას დავით მაღრაძე და თავყრილობა?

მშვენივრად ვიცით, ძირითადი, რა გარდამტეხი ორი ძალა არსებობს საქართველოში — „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“. „ოცნება“ არ უნდათ, ე.ი. ნაცებისკენ არიან!

კიდევ ერთხელ ვიტყვი — მეგობრობა ერთგულებით ჩანს, როგორი ერთგული ხარ ქვეყნის.

მე სამშობლოს ჩემს თავმოყვარეობაზე მაღლა ვერ დავაყენებ. ჩემი სამშობლო მე მიყვარს ჩემი თავმოყვარეობის დონეზე. თუ ღირსება არ მექნება, მეგობრობის ფასი არ მეცოდინება, სამშობლო როგორ უნდა მიყვარდეს.

ამიტომაცაა ყალბი მასეთი ადამიანების პათოსი, ლოგიკაც და შემოქმედებაც თავისი გარემიქსებული ე.წ. ჰიმნით, აკაკი წერეთლის ლექსის გადამღერება რომ არის და რომლის ვითომდა დაწერაში ათასები აიღო საჩუქრად. ახლა მატეო ფალკონეობას და ხევისბერ გოჩაობას ეპოტინება — სამშობლო და კაცობაა მთავარიო, სინამდვილეში არც ერთი ადარდებს და არც მეორე,

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# „ახალმა საბანკო რეგულაციებმა, სიკეთის ნაცვლად, შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიღოს“

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო ტრიბუნებისა“ და მოძრაობა „ჩვენ“-ის პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი.***

— ახალი საბანკო რეგულაციების ამოქმედების გამო (2019 წლის 1 იანვარი), ძალზე გაჭირდა კრედიტის, სესხის აღება, როგორც ბანკებში, ისე კერძო გამსესხებლებთან.

ბანკი ამ დონეზე დადასტურებულ შემოსავლებს ითხოვს ქვეყანაში, სადაც ყველამ კარგად იცის, რომ ძალიან ცოტა სამუშაო ადგილია, მოსახლეობის უმეტესობა საზღვარგარეთიდან გზავნილებით ცხოვრობს. თვითდასაქმებულები რომ არიან, მათი შემოსავალი ოფიციალურად არსად აისახება,



ფაქტობრივად ხელზე მიდის აღებმიცემობა და ბუნებრივია, ძალიან ჭირს ამ კონკრეტული შემოსავლის დადასტურება. ამ ყველაფერმა რა თქმა უნდა, ბანკის სესხზე ხელმისაწვდომობა თითქმის შეუძლებელი გახადა. მსესხებელი ფაქტობრივად „შავი ბაზრის“, ანუ კერძო იპოთეკარების, მევახშეების ამარა დარჩა, თანაც ადრინდელზე გაცილებით მძიმე პირობებით. რეგულაციები ამ სფეროშიც მოქმედებს, თუ დაწესებული პირობები ვერ შეასრულა კერძო გამსესხებელმა, ის ოფიციალურად ვერ დარეგისტრირდება. ისე, ამ კონტიგენტის უმეტესობა, მიზეზთა გამო, თავადვე არიდებს თავს რეგისტრაციას, ერთია, რომ არ უნდათ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის გადახდა. გარდა ამისა, საქართველო მაინც არასტაბილურ სახელმწიფოდ მიიჩნევა, არავინ იცის კიდევ რა რეგულაციებს შემოიღებს ხელისუფლება, ამიტომაც არ უნდა ოფიციალურად დაფიქსირდეს მეწარმედ, როგორც ახლა დაარქვეს, რომ არ შეეხოს კანონმდებლობა. არ უნდა იმის ჩვენება, რომ მევახშეა, ესენი „შავ ბაზარს“ იყვნენ მიჩვეული, საერთოდ არ კონტროლდებოდნენ, არც გადასახადს იხდიდნენ და ახლაც ასე უნდათ საქმიანობის გაგრძელება. კერძო იპოთეკარის შემთხვევაშიც უნდა დადასტურდეს მსესხებლის შემოსავალი, მისი გადახდის უნარიანობის შესახებ ინფორმაცია, გამსესხებელმა ეროვნულ ბანკს უნდა მიაწოდოს, რაც როგორც გითხარით, ფაქტობრივად შეუძლებელია. ესეც უბიძგებს მევახშეს „იატაკქვეშეთში“ მუშაობისკენ.

ფულზე ასეთმა ხელმიუწვდომლობამ, სესხის პროცენტი გაზარდა, თუ მანამდე თვეში ორნახევარ, სამ პროცენტად შეიძლებოდა ფულის სესხება, დღეს ხუთ პროცენტადაც კი ჭირს. სახელმწიფოს კერძო გამსესხებლებისთვისაც აქვს დაწესებული პროცენტის ზედა ზღვარი, სამნახევარ პროცენტზე მეტად არ უნდა გაასესხოს, მაგრამ მათი უმეტესობა „შავ ბაზარზე“ საქმიანობს და ბუნებრივია, ამ ზღვარსაც ყურადღებას არავინ აქცევს. მსესხებლის გადახდის უნარიანობის დადასტურება ასე ძალიან რომ ჭირს, კერძო გამსესხებლები ვალის უზრუნველყოფის მიზნით, უკვე იპოთეკური ხელშეკრულების მაგივრად, ხშირ შემთხვევაში მსესხებელთან ნასყიდობის ხელშეკრულებას აფორმებენ, ვითომ იყიდა ის ქონება და ვალის გადახდის შემდეგ უკან უნდა დაუბრუნოს. უფრო უარესი, ახალი რეგულაციების შემოღების შემდეგ, კერძო იპოთეკარები გასესხებული თანხების ვადამდე დაბრუნებას ითხოვენ, რამაც ძალიან ცუდი შედეგი გამოიღო. ექვსთვიან თუ ერთწლიან სასესხო ხელშეკრულებას ორ თვეში რომ შეუწყვეტავ მსესხებელს და თანხის მთლიანად დაბრუნებას მოსთხოვ, ბუნებრივია, უდიდესი პრობლემა ექმნება ამ ადამიანს. უკვე მოვიდა ხალხი ჩვენთან ასეთი პრობლემით, გვირჩიეთ როგორ მოვიქცეთო. ისინი ურიც გადამხდელები არ ყოფილან, დროულად იხდიდნენ სესხზე პროცენტებს, მაგრამ გამსესხებელი ხელშეკრულებას მაინც უწყვეტავს, რადგან რეგულაციების ცვლილებამ, ისიც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. გამსესხებელი თავის მოთხოვნას იმით ხსნის, რომ არ იცის კიდევ რა მოხდება, ეშინია თანხის დაკარგვის და იმიტომ ითხოვს ვადაზე ადრე დაბრუნებას. ისეთია ქაოსია შექმნილი ამ სფეროში, რომ არის გამორიცხული კრიმინალური სამყარო ჩაერთოს, დაიწყოს საქმეების „გარჩევა“ და ა.შ. ეს ყველაფერი მარტო სასამართლო დავებს კი არ გაზრდის, პროკურატურაშიც უამრავი საჩივარი შევა. მე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს მიწევს უკვე საქმის გარჩევა, მაგრამ, როგორც გითხარით, მთავარი წინ გველოდება. ეს რეგულაციები გასული წლის დეკემბერში მიიღეს, მას მერე სამი თვეა გასული, ხელშეკრულებები ძირითადად ექვსთვიანია, ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოიღებს კატასტროფულ შედეგს.

**— ქალბატონო მამისა, ეს რაც შეეხებოდა კერძო მსესხებლებს. მათ გარდა, ბანკებთან უამრავი ობიექტი იყო დაკავშირებული, თუნდაც მაღაზიები, სადაც ხალხი განვადებით ყიდულობდა სხვა და სხვა დასახელების პროდუქციას, მათ შორის, ავტომანქანებს. ახალმა რეგულაციებმა მათზე უკვე იმოქმედა?**

— რა თქმა უნდა, თითქმის ყველა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჩვენთან ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დაადასტურებენ თავის შემოსავალს და გადახდის უნარიანობას, არის ძალზე მცირე. მაგალითად, ადამიანი სადმე მომვლელად რომ მუშაობს, ხელფასის ცნობას დამქირავებელი არ მისცემს, რადგან ამ შემთხვევაში მანაც უნდა გადაიხადოს საბიუჯეტო გადასახადი. კერძო სექტორში ამგვარად დასაქმებულები ვერ ადასტურებენ თავიანთ შემოსავალს, ბანკს უფლება არ აქვს მას სესხი გამოუყოს, შესაბამისად ეს ადამიანი განვადებით ვეღარ შეიძენს საყოფაცხოვრებო ტექნიკა იქნება თუ ტრანსპორტი. ახალ რეგულაციებს დადებითი თვისებები ნამდვილად აქვს, ძველი რეგულაციით ადამიანს იგივე ტელევიზორის განვადების სესხის ვერ დაფარვის გამო, შეიძლებოდა სახლი დაეკარგა. ავტომანქანების ლიზინგის წესით შესყიდვამ ხომ საერთოდ დალუპა ხალხი. ახალ რეგულაციებს ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა და არა ხალხს საერთოდ რომ შეუზღუდეს კრედიტის აღების საშუალება. ბანკებთან კავშირში მყოფი საწარმოები კოტრდება, მაღაზიები იკეტება, აქედან გამომდინარე, უამრავი სამუშაო ადგილი უქმდება. რაიმე კანონსა და რეგულაციას იმისთვის იღებენ, რომ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ცხოვრების პირობები გაუმჯობესდეს, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, პირიქით მოხდა. ვფიქრობ, ამ რეგულაციების უკუშედეგები არავინ გათვალა. დამერწმუნეთ, აქ იყო არ გათვლაც და ვერ გათვლაც. სახელისუფლებო რგოლებში პროფესიონალიზმის ძალიან დაბალი დონეა. ჩვენმა ორგანიზაციამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, იქიდან ბევრი რამ ამოკრიფეს, მაგრამ დაამახინჯეს და ისეთი რეგულაციები მიიღეს, რომელიც უკუჩვენებას მოგვცემდა.

ახალ რეგულაციას ასე ვთქვათ, უკუქცევითი ძალა ბანკების ინტერესების გათვალისწინების გამო არ მისცეს. პრევენციის მიზნით ვისაც შეუზღუდეს სესხის აღება, ისინი ხომ უარესად დაღუპეს, იმიტომ, რომ ფული საერთოდ გაქრა. სულ ის გვესმის, ქართველები ქვეყნიდან გადიანო, ამ ბოლო ხანს ისე გააქტიურდა ეს პროცესი, რომ ამდენი არასდროს გასულა ქვეყნიდან.

სხვათა შორის, კერძო იპოთეკარებიც ასე ვთქვათ, ბანკებიდან საზრდოობდნენ, ახალმა რეგულაციებმა მათაც შეუზღუდა კრედიტის აღების საშუალება. ახლა ეს პატარა, სამევახშეო ბიზნესში შემთხვევით მოხვედრილი, ცოტა უფრო ადამიანური თვისებების მქონე კერძო იპოთეკარები საერთოდ გაქრებიან „ბაზრიდან“ და დარჩებიან „ელიტარული“ მევახშეები, რომელთა ჩამოყალიბების პროცესი უკვე აქტიურად მიმდინარეობს. მათ საკუთარი ფული იმ რაოდენობით აქვთ, რომ სხვა წყარო არ ჭირდება თ. უკვე ჩამოყალიბებულია სისტემაც, რომელიც ფულის ამოღებით იქნება დაკავებული. ერთ მაგალითს გეტყვით, ჩვენთან სოფელი მარტყოფიდან მოსული იყო პიროვნება, რომ-





ლის სახლიც კერძო მევახშემ აუქციონზე შეიძინა და გადაიფორმა. ეს „ახალმფლობელი“ თავის ყოფილ მსესხებელს მეორე დღესვე მიადგა, დაცალე სახლი ჩემიაო.ნაშუაღამევს მიუვარდა ამ ადამიანს ეს მევახშე რამდენიმე კაცთან ერთად, მიიყვანეს პოლიციაც და აიძულებდნენ სახლი დაეცალა. ამ დროს, პოლიციური გამოსახლება კარგა ხანია გაუქმებულია. ადგილზე ჩასულს დამხვდა მგლების ხროვა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, არ ვიცი ნასვამები იყვნენ თუ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ და ორი შეშინებული პოლიციელი ვაზიანის შს განყოფილებიდან. ძლივს გავაგებინე ამ მართლა ბანდას, რომ ჯერჯერობით დამთავრებული არ არის სამართლებრივი პროცესი და ჯუნგლებში არ ვცხოვრობთ, ძალისმიერი მეთოდებით რომ აღასრულონ „სამართალი“. სამწუხაროდ, სახელმწიფოში კანონი ყველაფერს აკეთებს, რომ მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპიროს და „მგლების კანონით“, ძლიერი იმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, მევახშეობის სფეროში ასე ხდება. დღეს კანონი არავის აინტერესებს და არც უნდათ, მთელ ქვეყანას ვგულისხმობ.

**— თქვენი აზრით, რა ფორმით უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები, რა შინაარსის რეგულაციები უნდა მიგვეღო, რომ უარყოფითი შედეგები თავიდან აგვეცილებინა?**

— სახელმწიფო რომ ხარ, იაფი ფული უნდა მომცე, ხელი უნდა შემიწყო, შენ რომ ჩამაგდე ამ დღეში, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მმართველობისას მოხდა ეს. მოსახლეობის გაღატაკება შევარდნაძის მმართველობის პერიოდიან დაიწყო, როცა ხალხს ანაბრები წაართვეს, დაურიგეს რაღაც ვაუჩერები, თვითონ კი კაპიკებში, კუპონებში მიისაკუთრეს მთელი სახალხო ქონება. იქიდან დაიწყო ხალხის ძარცვა. ამიტომ ხალხის მძარცველების სამართალმემკვიდრეებმა კეთილი ინებონ და ხალხს საშუალება მისცენ თავიანთი ქონება გამოისყიდონ, ვალად მისცენ ამისთვის თანხა, იმიტომ, რომ ადამიანის ცნობიერებაში არ უნდა იყოს, ვისესხე, მაგრამ არ უნდა გადავიხადო. ხალხს მისცენ იაფი ფული, ხელი შეუწყონ ბიზნესის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# „დედაენის“ წართმევას ყოველთვის ცდილობდნენ, მაგრამ ვერასოდეს ახერხებდნენ ამას“

**საქართველოს პარლამენტის წევრების ზაზა გაბუნიასა და მარიამ ჯაშის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ შეტანას გულისხმობს, განათლების სამინისტროში სპეციალური კომისია შეიქმნება. რა უქმნის იაკობის „დედაენას“ საფრთხეს და რატომ გახდა აუცილებელი მისი კანონით დაცვა, ამაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე გიორგი გოგოლაშვილი გვესაუბრა:**

– ბოლო ხანებში პრესა და ტელევიზია „დედაენის“ თემასთან დაკავშირებითძალიან გააქტიურდნენ. თემის გააქტიურება გამოიწვია იმან, რომ საქართველოს პარლამენტიდან საკანონმდებლო ცვლილებები დაანონსდა, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლს – „დედაენას“ ეხება. მოგეხსენებათ, „დედაენა“ (ანუ-საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულიმეთოდი) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი გახლავთ. ეს სტატუსი „დედაენას“ 2013–14 წლებში მიენიჭა. 2016 წელს იუნესკომ „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა; „დედაენა“ ამ ნომინაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი გახლავთ; საერთაშორისო კანონმდებლობით ეს ფაქტი ჩვენს სახელწიფოს „დედაენის“ მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს.

**– კონკრეტულად, რომელ ვალდებულებებზეა საუბარი?**

– საუბარია ძეგლის დაცვასა და პატრონობაზე. სახელწიფო ვალდებულია დაიცვას და უპატრონოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, რომელიც იუნესკოს წარმომადგენლობით ნუსხაშია შესულია. არსებობს საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც სახელმწიფოს ამას ავალდებულებს და სახელწიფომ თუ ვერ შეძლო საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა შესრულება, გამორიცხული არაა, რომ იუნესკომ ქართულ ანბანს და მის შემადგენელ ელემენტს „დედაენას“ სტატუსი ჩამოართვას. სამწუხაროდ, ასეთი მძიმე შედეგი დაგვიდგა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით. როდესაც ტაძრის რესტავრაციაიუნესკოს პრინციპების გათვალისწინების გარეშე ჩატარდა, იუნესკომ ბაგრატის ტაძარს ძეგლის სტატუსი მოუხსნა.

იუნესკოში სულ სამი ძეგლია არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი საქართველოდან. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მსოფლიოში არსებულმრავალ ანბანს შორის ქართული ანბანი ერთადერთია, რომელსაც საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. ასე რომ, საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში გატანა სწორია და დროული. რაც მთავარია, რა არის „დედაენა“ და რას მიაკუთვნა კულტულური მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი სახელწიფომ? ეს არის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი საანბანე სახელმძღვანელო.

რა არის „დედაენის“ შედგენის მთავარი პრინციპები, რომლებიც ითვლება იაკობის ინტელექტუალურ საკუთრებად? ეს არის, უპირველესად, პირველი გაკვეთილი „ია. აიია“, რომელზეც ყველანი გავიზარდეთ; პედაგოგიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პირველი გაკვეთილის თემა არის იაკობის ყველაზე დიდი მიგნება – ეპოქალური აღმოჩენა; ეს იაკობის საკუთრებაა და მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენა... გარდა ამისა, ის, თუ როგორ დაალაგა მან შესასწავლი ქართული ანბანი, რა პრინციპით; რა რის შემდეგ ისწავლება, რომელი ასო რომელი სიტყვით ისწავლება, როგორია საანბანე ტექსტის სტრუქტურა; საკითხავი ნაწილის ტექსტების თემატიკა და სხვა. – ეს არის ის, რასაც „დედაენა“ ქვია და რაც იაკობ გოგებაშვილმა ჩვენთვის შექმნა.

**– ინიციატივის ავტორთა განმარტებით, საკანონმდებლო ინიციატივის მიზანი ძეგლის დაცვაა, თუმცა იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეში „დედაენის“ ბოლო გამოცემიდან თითქმის საუკუნეზე მეტი გავიდა და სახელმძღვანელომ უამრავი ცვლილება განიცადა...**

– უბედურება ის არის, რომ იაკობ გოგებაშვილის ავტორობით „დედაენა“ ბოლოს 1925 წელს გამოიცა. ამის შემდეგ, 1935 წლიდან ფაქტობრივად, იაკობ გოგებაშვილის საკუთრების მითვისება იწყება. ანუ გამოიცემა „დედაენები“, აწერია „გოგებაშვილის მიხედვით და ავტორად მითითებულია სხვა. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან. ფაქტობრივად, ახდენენ იაკობის „დედაენის“ გადაწერას, ტექსტს უკეთებენ რედაქტირებას და საკუთარ გვარს აწერენ. ასე გაჩნდა ჩვენს სკოლებში მაღლაკელიძეების „დედაენა“, გორდელაძე-ჩხენკელის, რამიშვილის და სხვების „დედაენები“.2009 წელს განათლების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი პირველ კლასის სახელმძღვანელოზე და ამ კონკურსზე 10 ავტორის „დედაენა“ იყო წარდგენილი.მხოლოდ ერთი იყო იაკობ გოგებაშვილის ავტორობით, რომელიც გოგებაშვილის საზოგადოებამ წარადგინა და 9 დედაენის ავტორი იყო სხვა. წიგნების უმეტესობა „გოგებაშვილის მიხედვით“ იყო შედგენილი; იწყებოდა „ია“-თი, შემდეგ მოსდევდა „თითი“, „საათი“ და ა.შ. კონკურენცია მიდის იმაზე, თუ ვინ უფრო მოხერხებულად გადაწერს იაკობის „დედაენას“ და როგორ გააფორმებს გარეგნულად. შეაქვთ თვითმიზნური ცვლილებები (ავტორობა რომ გაამართლონ!) გოგებაშვილის პრინციპების გათვალისწინების გარეშე...

**– კონკრეტულად, რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ძეგლის დაცვისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად?**

– ძეგლის დაცვა გულისმობს, რომ არავინ მიითვისოს, არავინ შეცვალოს, არავინ ჩაერიოს და შელახოს იაკობის პრინციპები. რაც შეეხება სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას, ის გულისხმობს, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში უნდა დაბრუნდეს. სხვათა შორის, იუნესკოს ერთ-ერთი მოთხოვნაც სწორედ ესაა. თუ წიგნს სიცოცხლისუნარიანობა არ აქვს, ისინი თავიანთი საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ჩვენს ანბანს „დედაენასთან“ ერთად ამოიღებენ. „დედაენის“ მიმთვისებლები ფაქტობრივად, ებრძვიან იმას, რომ წიგნს ერქვას იაკობის სახელი. სხვათა შორის, თუ 2018 წლამდე გოგებაშვილისაგან მითვისებულ სახელმძღვანელოს „დედაენა“ მაინც ერქვა, 2018 წლიდან „დედაენაც“ აღარ ჰქვია. ანუ, როგორც ვთქვით, პირწმინდად გადაწერეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო, შეუცვალეს სახელი და გარეკანზე თავიანთი გვარი დააწერეს. ინტერვიუში, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა, ნათელა მაღლაკელიძე ამბობს კიდეც, ჩემი „დედაენაო“, არადა,„დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისაა. მაღლაკელიძემ რედაქცია გაუკეთა, ამიტომ ის წიგნის რედაქტორია და არა ავტორი. სხვათა შორის, „დედაენას“ ყოველთვის ასე ებრძოდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ მის წართმევას. თავის დროზე, იაკობ გოგებაშვილი წერდა, მე გაცილებით მეტი დრო მოვანდომე „დედაენის“ დაცვას, ვიდრე მის შექმნასო. ჩემს მოწინააღმდეგეებს ამოძრავებთ „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპიო“, რაც სამწუხაროდ, დღესაც



გრძელდება...

**– სახელმძღვანელოების გამოცემა რომ დიდი ხანია ბიზნესად იქცა, ეს არავისთვის საიდუმლო არაა.**

– დიახ, ბიზნესად იქცა. კი ბატონო, ვინ გიშლის, გაიჩინეშემოსავლის წყარო, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრების ხარჯზე? როგორც გითხარით, მიმთვისებლები ცვლიან იაკობ გოგებაშვილისეულ „დედაენას“ და არ ითვალისწინებენ იაკობის პრინციპებს. ასე რომ არ მოხდეს, ამას ემსახურება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა, ანუ განათლების კანონში ცვლილების შეტანა, რომელიც გასული წლის ბოლოს დაანონსდა.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ გოგებაშვილის „დედაენა“ პატრონს დაუბრუნდეს და ყოველგვარი ცვლილება მასში შევიდეს იმ პრინციპების გათვალისწინებით, რა პრინციპებიც იაკობ გოგებაშვილს ჰქონდა. განათლების სამინისტროში პროგრამებისა და სახელმძღვანელოების საკითხი რომ მთლად წესრიგში ვერ არის, ეს თქვენც იცით და ჩვენც ვიცით.განათლების მინისტრმა მ. ბატიაშვილმა გამოაცხადა კიდეც, რომ ბოლო პერიოდში სახელმძღვანელოთა გრიფირებაში ბევრი დარღვევა იყო, რომ ამ დარღვევებს განათლების მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია გადაჰყვა...როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, დაინტერესებული იყო სამინისტროს გარკვეული ჯგუფი, დაინტერესებული იყვნენ გამომცემლობები, რომლებიც სახელმძღვანელოებიდან დიდ მოგებას იღებენ. აქედან გამომდინარე, ავტორს (ი. გოგებაშვილს) აღარ აქცევდნენ ყურადღებას და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება ხდებოდა.დიახ, ეს პრობლემები იყო და ალბათ არის კიდეც... ამას განათლების სამინისტრომ უნდა უპატრონოს. სწორედ ამას სჭირდება საზოგადოებრივი კონტროლი და ყურადღება; სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩვენს სკოლას ისეთი ღირსეული სახელმძღვანელო ჰქონდეს, როგორიც იაკობ გოგებაშვილმა დაგვიტოვა!

**– იმედია, ამ დიდი საქმის განხორციელება მაინც მოხდება ისე, რომ საზოგადოება და პროფესიული წრეები კმაყოფილი დარჩნენ.**

– ჩვენი ღრმა რწმენით, ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრო და პარლამენტი არ ლობირებს არც ერთ სახელმძღვანელოს. ის შექმნის კანონს, რომელიც დაავალდებულებს სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის, „დედაენის“ საფუძველზე შეიქმნას სახელმძღვანელო. განათლების სამინისტრომ კანონიდან გამომდინარე, უნდა მოახდინოს ამის ორგანიზება. უნდა შექმნას კომისია, სამუშაოჯგუფიდა ა.შ. ეს უკვე მათი საქმეა. თუ ამ პროცესში ჩვენ და თქვენ დავინახავთ რაიმე დარღვევას და მიკერძოებას, სასწრაფოდ უნდა ვამხილოთ. ეს პროცესი უნდა იყოს ძალიან გამჭვირვალე, იმიტომ, რომ სკოლას უნდა ჰქონდეს თავისი ღირსეული სახელმძღვანელო.. დღეს მორალურად და იურიდიულადუხერხულია, ვინმემ ამტკიცოს, რომ „დედაენა“ ჩემია და გოგებაშვილი რა შუაშიაო. დღეს საქართველოში ყველამ იცის, რომ „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილის საკუთრებაა.

გოგებაშვილს სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, საუკუნენახევარი ინტელექტუალურ საქართველოს ზრდიდა და ეს მაინც უნდა დავუფასოთ. ის მაინც უნდამოვახერხოთ, რომ მისი საკუთრება ასე უაპელაციოდ არავის ჩავაგდებინოთ ხელში.




**ნელი თორდია**

571 35 36 88

# სამშობლო – დავიწყებული დიადი სიტყვა



### შესავლის მაგიერ

*„ძალიან ვამაყობ იმით, რომ საქართველოში, ჩვენს კანონმდებლობაში პირველად შემოგვაქვს სიტყვა „სამშობლო“ და ის, რომ ჩვენი შვილები ჩვენი სამშობლოს, მისი ენის, ჩვენი კულტურული ტრადიციების და კულტურული ტრადიციების სიყვარულით უნდა აღვზარდოთ. ჩვენ პირველად შემოგვაქვს საკანონმდებლო დონეზე ის, რომ ჩვენი შვილები მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით უნდა აღვზარდოთ“, — ასეთი კომენტარი გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტარმა სოფო კილაძემ „ბავშვის უფლებათა კოდექსში“ სიტყვა სამშობლოს კანონის დონეზე შეტანასთან დაკავშირებით.*

*ამ ღირსშესანიშნავმა ამბავმა, რომელიც, წესით და რიგით, საზოგადოების აქტიური დისკუსიის და განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო, სამწუხაროდ, უხმაუროსდ ჩაიარა.*

*ამიტომაც ჩავთვალე საჭიროდ, მკითხველისთვის კიდევ ერთხელ შემეთავაზებინა ჩემი წერილი „სამშობლო — დავიწყებული დიადი სიტყვა“, რომელიც ცხრა წლის წინათ, 2010 წელს გამოქვეყნდა, თუმცა, ვფიქრობ, წერილს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.*

**ვახტანგ ხარჩილავა**

●

„ოპოზიციას გაერთიანება უჭირს, თორემ ამ ხელისუფლებას კუდით ქვას ასროლინებდაო – ხშირად გაგიგონიათ, ალბათ სინანულით ნათქვამი ამგვარი შეფასებები.

– ოპოზიციონერი პავლე, ოპოზიციონერი პეტრე და ოპოზიციონერი ჟუჟუნა რომ გაერთიანებულიყვნენ და ერთად შეეტიათ ამ მამაძაღლი ხელისუფლებისთვის, გამარჯვება გარანტირებული იყოო – ეს ფრაზაც, რა თქმა უნდა, ხშირად გსმენიათ.

– უნდა გავერთიანდეთ. ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ყველა ერთად უნდა ვიყოთ, სხვანაირად ამათ ვერ დავამარცხებთო – ეს მოწოდებაც წამდაუწუმ ისმის პოლიტიკოსთა თუ არაპოლიტიკოსთა ბაგეთაგან, მაგრამ ამაოა ყველაფერი – დიდი ერთობა ვერა და ვერ შედგა.

მართალია, ხანდახან კი აზერზებენ გაერთიანებას, ხან დემოკრატიული ღირებულებების დაცვის, ხან საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მოტივით, მაგრამ ეს გაერთიანებებიც, როგორც წესი, მალევე იშლება, რადგან მათ ის ღერძი და ის ხერხემალი არა აქვთ, რომელიც არა მარტო პოლიტიკოსთა ცალკეულ ჯგუფებს, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს გააერთიანებდა და ერთად შეკრავდა.

რა შეიძლება იყოს ის ერთი, ერთადერთი, ყველასთვის საერთო, ყველას გამაერთიანებელი თემა, რომლის გარშემოც შეიძლებოდა მთელი ერი დარაზმულიყო?

დემოკრატიული ღირებულებები? არა, რადგან დემოკრატიაზე ფუჭი, ამაო, გაუთავებელი საუბრები ისე ამოუვიდა ყელში ქართველ ხალხს, რომ ამ სიტყვაზე უკვე არ რეაგირებს, თუმცა ყოველი მეორე პარტიის სახელწოდებაში სიტყვა დემოკრატია ფიგურირებს – ვითომ მთელი საქართველო დემოკრატიის აშენების სურვილით იწვის, არადა, რაც დღემდე ავაშენეთ და რაც აქამდე შევქმენით, იმას დემოკრატიასთან საერთოდ არა აქვს შეხება.

იქნებ საარჩევნო გარემოს შეცვლაა ის უმთავრესი საკითხი, რომლის გამოც მთელი საქართველო ფეხზე დადგება და სანამ ამ გარემოს არ შეცვლის, სახლში არ წავა?

არა, არც არჩევნების თემაა ის თემა, რომელიც თანაბრად აღელვებს ყველას და გულს ისე აუჩქროლებს, რომ ერთ დაძახებაზე გარეთ გამოვა.

სხვა უამრავი თემის, უამრავი საკითხის, უამრავი პრობლემის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომლებიც, ცალკე აღებული, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთო სახალხო საერთო ეროვნული გაერთიანების მიზეზად და მოტივად მაინც ვერ გამოდგება.

მაშინ რა არის ის უმთავრესი და უპირველესი, ის ყველას გამაერთიანებელი, ყველასთვის საერთო რამ, რომელიც წესით და რიგით, თანაბრად უნდა აწუხებდეს და თანაბრად უნდა ტკიოდეს ყველას, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა?

რა არის და სამშობლო.

**სამშობლო – გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სატანისტურ ეპოქაში დავიწყებული დიადი სიტყვა.**

– რომელი დგას უფრო მაღლა – სამშობლო თუ ჭეშმარიტება? – იკითხა ფილოსოფოსმა და იქვე უპასუხა – ჭეშმარიტებაო.

მცდარი მგონია ეს მოსაზრება, რამეთუ სამშობლოა თავად ჭეშმარიტება და ამდენად, სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, როცა ამბობ, ეს იგივეა, ჭეშმარიტებაზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, რომ თქვა.

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“

**უსამშობლო ადამიანი ადამიანის მაგვარი ბიოლოგიური არსებაა, ვიღაცის მიერ შეკოწიწებული რობოტია, რომელსაც ღმერთის დამღა არ აჯრავს.**

მთელი ქართული მწერლობა დაწყებული დასაბამიდან დღემდე ერთ საერთო მიზანს ემსახურება – აღზარდოს ქართველ ადამიანში სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, განუსაზღვროს, განუმარტოს და შეასწავლოს მთავარი მიზანი და დანიშნულება ადამიანის არსებობისა – სამშობლოს მსახურება.

ავად თუ კარგად, თითქოს, სახელმწიფოს კი ვაშენებთ, თავისი სტრუქტურებით, ჯარით, პოლიციით, სხვადასხვა სტრუქტურებით, მაგრამ ამ სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო ნაკლებ ჩანს მთავარი, რისთვისაც სახელმწიფო უნდა შენდებოდეს – სამშობლო.

**დიახ, შეიძლება ააშენო სახელმწიფო, მაგრამ თუ გონივრულად არ მოიქეცი, ამ სახელმწიფოში ადვილი შესაძლებელია სამშობლო დაგეკარგოს და მის ნაცვლად ახალი დუბაი შეგრჩეს ხელთ ან ახალი სინგაპური.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, დღეს ქართულ სახელმწიფოდ წოდებული სახელმწიფო ქართველებს და ქართველთა სამშობლოს, საქართველოს, ებრძვის, მის დამარცხებას და დასუსტებას ცდილობს.

რატომ ხდება ეს და რა მიზეზით, იმდენად ვრცელი და ფართოა ეს საკითხი, რომ ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ, ამაზე აქ არ შევჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ ერთს – დღეს ქართველებს სამშობლო გვაქვს დასაბრუნებელი, ის სამშობლო, რომელსაც ქართული სახელმწიფოს სახელით მოქმედი მოძალადეები და ოკუპანტები თვალდახელშუა გვართმევენ.

ოკუპანტებიო რომ ვთქვი, მარტო რუსები არ მიგულისხმია, ევროპელებიც ვიგულისხმე და ამერიკელებიც.

რუსები თუ ტერიტორიებს სამხედრო ძალით გვართმევენ, ევროპელები და ამერიკელები ადმინისტრაციული ბერკეტებით, ინსტრუქციებით, დირექტივებით, ეგრეთწოდებული რეფორმებით, ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებით, არასამთავრობოთა ქსელით, მედიასაშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით გვიპყრობენ ნელ-ნელა, დაგემოვნებით, აუჩქარებლად, ლუკმა-ლუკმა.

ეს თანამედროვე მსოფლიოში კარგად აპრობირებული ახალი ტიპის ოკუპაციაა, როცა ტანკებს, თვითმფრინავებს, ავტომატებს კალკულატორი, ინტერნეტი, პიარტექნოლოგიები ჩაენაცვლა. ეს ოკუპაციის ახალი, მშვიდობიანი ფორმებია, ზედმიწევნით კარგად მოფიქრებული სამოქმედო გეგმით, მზაკვრული ხერხებით და მეთოდებით.

ეს ის მტერია, რომლის შესახებაც დიდი ილია საუკუნენახევრის წინათ გვაფრთხილებდა – თოფ-იარაღით მოსული მტრის კი არა, ცოდნით, ხერხით, განათლებით მოსული მტრისა გეშინოდეთ, ის დაგამარცხებთ და დაგმარხავთო.

აკი დაგვმარხეს უკვე და თუ ვყვირით საფლავიდან ვყვირით...

დიდი სახელმწიფოები ხშირ შემთხვევებში შეთანხმებულად მოქმედებენ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც რაღაც ფორმით სათანადოდ ვერ ჯდება მათ ინტერესებში, ინტერესები კი მათ უმეტესწილად საერთო აქვთ.

საქართველო თავისი აკვიატებული „ენა, მამული სარწმუნოებით“ ჯერჯერობით ვერ ჯდება გლობალიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოში – სამივე ეს ღირებულება, – ენა, მამული, სარწმუნოება, მიუღებელი, უცხო და ხელისშემშლელია გლობალისტური პროცესების განვითარებისათვის.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროპამ, რუსეთმა, აშშ-მ შეთანხმებულად გაილაშქრეს დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხშედგმული საქართველოს წინააღმდეგ – განაჩენი აშშ-მ და ევროპამ გამოგვიტანა, ხოლო განაჩენის აღსრულება რუსეთმა იკისრა.

მიზეზი ერთადერთი გახლდათ – ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს აშენება განვიზრახეთ და ეს ზრახვა დასაწყისშივე მოაშთეს და მოგუდეს.

იმ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, არავის არ აძლევს ხელს ამ გზაჯვარედინის ჩამკეტი ძლიერი, თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო არსებობდეს.

დღეს რაც ხდება, ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის დე-










მონტაჟის და მისი რეკონსტრუქციის მცდელობა.

ამიტომაც სასაცილოა, როცა ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი მოსკოვში დარბის, მეორე ვაშინგტონში, მესამე ბრიუსელში – არიქა, გვიშველეთო.

ასეთი მიუხვედრელნი და გულუბრყვილონი როგორ ხართ, თქვე დალოცვილებო, რომ ვერ ხვდებით – საქართველო ამ სამივე „წერტილიდან“ ერთდროულად „იბომბება“, იბომბება სხვადასხვა ტიპის ბომბებით- ერთიდან თუჯის ნამსხვრევები ცვივა, მეორიდან – ფოჩიანი კანფეტები, მესამიდან ნახმარი პრეზერვატივები.

●

ისევ წერილის დასაწყისში დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ – რა



არის ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი თემა, რის გარშემოც მთელი ერი შეიძლება გაერთიანდეს?

– რა არის და სამშობლოო – ვთქვით...

მაშინ რატომ ხდება, რომ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხალხს ღირსების, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების დასაცავად, სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, დემოკრატიის გადასარჩენად მოუწოდებს, მაგრამ არ მოუწოდებს სამშობლოს გადასარჩენად?

ეს ყველაფერი გვინდა, მაგრამ სამშობლო არ გვინდა?

კი მაგრამ რა ფასი აქვს ამ ყველაფერს სამშობლოს გარეშე?

ზემოთჩამოთვლილი კომპონენტები – დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სოციალური საკითხები, თავისუფალი სასამართლო და ა.შ. – ის საშენი მასალაა, რომლითაც სახელმწიფოს შენობა შენდება, მაგრამ რა აზრი აქვს ამ შენობის მშენებლობას, თუ იქ სამშობლო არ არის?

ასეთი სახელმწიფო სახელმწიფო კი არა სუპერმარკეტია, დიდი, უზარმაზარი სუპერმარკეტი.

ჩვენი პოლიტიკოსები სუპერმარკეტის დირექტორის თანამდებობისთვის და ადმინისტრაციული სტრუქტურების კონტროლისთვის იბრძვიან და ქართველ ხალხს სთხოვენ მხარი დაუჭირონ ამ „წმინდაწმინდა“ ბრძოლაში.

ეს ეგრეთწოდებული არჩევნებიც სხვა არაფერია, თუ არა ომი სუპერმარკეტის დირექტორის, მისი მოადგილეების, სექციის გამგეების პოსტების დასაკავებლად.

– წინ, სამშობლოსათვის! – დიდი ხანია არავის არ უთქვამს ეს ფრაზა საქართველოში.

**– არცერთი ნაბიჯი უკან. ჩვენს უკან სამშობლოა! – არც ეს უთქვამს ვინმეს და შეიძლება იმიტომაც, რომ არ არის ჩვენს უკან სამშობლო – ჩვენს უკან სუპერმარკეტია, სუპერმარკეტისთვის თავის გაწირვა კი ნამდვილად არ ღირს.**

ამიტომ ხომ არ მოვრბოდით თავქუდმოგლეჯილები 2008 წელს კოდორიდან თუ ცხინვალიდნ?

კიდევ კარგი, მდევარმა დაგვინდო და გაჩერდა, თორემ მთელი საქართველო ვირბენდით, ვირბენდით სამშობლოს მთა-ბარს გადავირბენდით და ან თურქეთში ამოვყოფდით თავს, ან სომხეთში, ან აზერბაიჯანში.

ასე ხდება ხოლმე, სახელმწიფოში სამშობლოს რომ დაკარგავ.

როცა დავრწმუნდით, რომ არ მოგვდევდნენ, როცა გარანტიები მივიღეთ, რომ მტერი თბილისში არ შემოვიდოდა, დამარცხებულებმა გრანდიოზული მიტინგი გავმართეთ-გავიმარჯვეთო.

დამარცხებულები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მსგავსი ცინიზმი არც მინახავს და არც მსმენია...

სიმღერები, ცეკვა-თამაში, ომახიანი გამოსვლები დიდხანს არ შეწყვეტილა, მაგრამ არავის მოუკითხავს სამშობლოს ის ნაწილი, მომხვდური რომ დაეპატრონა.

რაც უკვე დაკარგული გაქვს, რაც არ გაქვს, ის რატომ უნდა მოიკითხო?

გარბიან ქართველები საქართველოდან, მილიონნახევარია უკვე გაქცეული და ერთ ამდენსაც გაქცევაზე უჭირავს თვალი, ოღონდ გაქცევის საშუალება არ აქვთ და რა ქნან?

გარბიან ქართველები ქართული სახელმწიფოდან და სხვა მრავალ მიზეზთა შორის მთავარი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ამ ქართულ სახელმწიფოში ისინი თავიანთ სამშობლოს ვერ ხედავენ. სამშობლოს ვერ გრძნობენ.

ასეთ დროს კი შენი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასვლა დაახლოებით იგივეა, რაც სუპერმარკეტიდან მეორე სუპერმარკეტში გადარბენა.

ვინც აქ დარჩა ვინც გაქცევა არ ისურვა, მათი დიდი ნაწილიც ისე ცხოვრობს თითქოს ემიგრაციაში იყოს, ოღონდ შიდა ემიგრაციაში – სამშობლოში ხარ და მაინც ემიგრაციაში ხარ, რადგან სამშობლოში სამშობლო წაგართვეს.

სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა-წყალი, მთა და ბარი, მდინარე და ტყე, ველი და კორდი, მშობლიური სოფელი, საყვარელი ქუჩა და უბანი.

სამშობლო არის ის კულტურა, ის სულიერი ფასეულობები და ღირებულებები, რაც შენმა წინაპრებმა შექმნეს, როცა შენ არ იყავი, არ იყავი მაგრამ აუცილებლად იგულისხმებოდი, რადგან რაც კეთდებოდა ყველაფერი კეთდებოდა შენთვის ანუ მომავლისთვის.

როცა სამშობლო გაქვს და როცა სამშობლოს პატრონობ, არავინ არ არის მკვდარი, თუნდაც ისინი, ვინც ათასი თუ ორიათასი წლის წინათ გარდაიცვალა.

ისინი კვდებიან მაშინ, როცა სამშობლოსათვის ომს შეწყვეტ.

●

ოპოზიციურ პარტიებს გაერთიანება უჭირთ.

როგორც ვთქვით, გაერთიანების რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

მაქვს ეჭვი, რომ მიზეზი ამისა უსიყვარულობაა.

მათ არ უყვართ სამშობლო ან უყვართ იმდენზე, რამდენიც მათი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად კმარა.

მათ არ უყვართ ქართველი ხალხი, უფრო ზუსტად, უყვართ ქართველი ხალხის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მათი მხარდამჭერია.

სამშობლოსადმი საერთო სიყვარული, ერთ მუხტად შეკრული სიყვარული არ არსებობს – ის საარჩევნო ხმებად ნაწილდება და ქუცმაცდება.

როდის დადგება ის დრო, როცა პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები ერთად შეიკრიბებიან და იტყვიან: – დღეს იმის გარჩევის დრო არ არის ვინ არის მემარცხენე, ვინ მემარჯვენე, ვინ ცენტრისტი, ვინ უფრო ნიჭიერია, ვინ უფრო რეიტინგული. მოდით, ყველამ განზე გადავდოთ ჩვენი ამბიციები და სამშობლოს სიყვარულის გარშემო გავერთიანდეთ, რადგან სამშობლოა გადასარჩენი.

თუ ეს არ ითქვა და თუ ეს არ გაკეთდა, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს.

არაფერი გამოვა, თუ პოლიტიკურმა პარტიებმა კვლავ ვაჭრობა დაიწყეს ხალხთან – ვიბრძოლებთ, თავს დავდებთ, მაგრამ პირობა მოგვეცით, რომ არჩევნებზე ხმას ჩვენ მოგვცემთო.

სამშობლოს ვერ დაიხსნიან ისინი, ვინც თავდადების ნაცვლად ქრთამს ითხოვენ.

ასე გინდათ თქვენ გაიმარჯვოთ? ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!

●

ოკუპაციის მუზეუმში გოგი გვახარია და დოდონა კიზირია მაგიდას მისხდომოდნენ და დედალ-მამალი გვრიტებივით ტკბილად ღუღუნებდნენ.

საუბრის ძირითადი თემა პატრიოტიზმი იყო.

-სტალინმა იდეოლოგიური მანქანა მთელი სიმძლავრით აამუშავა, რომ საბჭოთა ადამიანები პატრიოტიზმის გრძნობით დაემუხტათო – ბრძანა ბ-ნ გოგიმ და ქ-ნ დოდონამაც მიუღუღუნა – კი, იყო ასეთი ამბავიო.

არც ერთს და არც მეორეს გაკვირვება და გაოცება არ გამოუთქვამს იმის გამო, რომ სტალინმა ომის პირველსავე დღეებში მოურიდებლად მიაფურთხა ბოლშევიკურ-ინტერნაციონალისტურ დოგმებს და უეროვნებო, უსამშობლო პროლეტარიატის დიქტატურის ნაცვლად მთავარ ღირებულებად სამშობლო გამოაცხადა.

კოლექტივიზაცია და სოციალიზმი დავიცვათო, კი არ უთქვამს, სამშობლო დავიცვათ, სამშობლო გვეძახისო, თქვა.

ამიტომაც მიემატა მისი სახელი სამშობლოს და ასე გაჩნდა ცნობილი მოწოდება „ზა როდინუ! ზა სტალინუ! “

დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ამ მოწოდებიდან „როდინა“ ამოვარდა, სტალინს კი ხან „ზა სააკაშვილი“, ხან „ზა ბურჯანაძე“, ხან „ზა გრეჩიხა“, ხან „ზა ოქრუაშვილი“, ხან „ზა ნოგაიდელი“ ჩაენაცვლება ხოლმე

„როდინა“ ხომ გითხარით, დავკარგეთ-მეთქი.



●

ცხოველის „სამშობლო“ ბუნაგია.

როცა ადამიანი სამშობლოს ბუნაგთან აიგივებს, სადაც შეიძლება კომფორტულად და მაძღრად იცხოვრო, ასეთი ადამიანიც ცხოველია.

საქონელიაო, თქვა ერთმა პოლიტიკოსმა.

კი, ბატონო, საქონელი ერქვას...“

**„საერთო გაზეთი“**
**2010 წელი**

## ჰე, მამულო!

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
თქვა: სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!

არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!“

გალაკტიონი

# დედამიწის სირცხვილის წიგნი

## დედამიწაზე ყოველწლიურად ათიათასობით ბავშვი უკვალოდ ქრება



ბობიინის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე მარტინ ბუილონმა ჯერ კიდევ 1997 წელს განაცხადა პედოფილების ქსელების შესახებ: „მათ ნამდვილად აქვთ დიდი საშუალებები. ბავშვებით ერთგვარი ვაჭრობის გასაჩაღებლად საჭიროა ბევრი ადამიანის გასვრა რათა მათ ხმა არ ამოიღონ. ისინი სვრიან პოლიტიკოსებს, ხელისუფლების, განსაკუთრებით ადმინისტრატიული ხელისუფლების მქონე ინდივიდებს. ესაა მაფიური სისტემა რომლის წევრებიც დაკავშირებულები არიან მაღალი თანამდებობის პირებთან“ მარტინ ბუილონმა 1997 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ანგელოზების გაუპატიურება-პედოფილია-ერთი მოხელე სიჩუმის კანონის წინააღმდეგ.“ ბუილონი ნაშრომში აღნიშნავს, რომ ოცი წელია მოხელეა, გამწარებული და შეურაცხყოფილია



მისი თანამედროვეების მიერ ბავშვების სექსუალურ ობიექტებად გამოყენების გამო. საზოგადოების გულგრილობით. იგი აცხადებს, რომ პედოფილია არის უმძიმესი დანაშაული ადამიანობის, კაცობრიობის წინააღმდეგ ვინაიდან გაუპატიურებული ბავშვები მთელი ცხოვრების მანძილზე დაკომპლექსებულები არიან. მისი რწმენით პედოფილია არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული რომელიც განსაკუთრებით მძიმე სანქციას საჭიროებს!

ევროპაში ორ წუთში ერთხელ ქრება, იკარგება ბავშვი. 25 მაისი არის დაკარგულ ბავშთა საერთაშორისო დღე. იხსენებენ ბავშვებს რომლებიც გაიქცნენ და აღარ დაბრუნდნენ, რომლებიც გაიტაცეს, გაყიდეს...2001 წელს დაკარგული ბავშვების და ექსპლუატირებული ბავშვების საერთაშორისო ცენტრის ძალისხმევათა წყალობით ევროკავშირმაც დაიწყო დაკარგული ბავშვების საერთაშორისო დღის აღნიშნვა. 2002 წლიდან ყოველ წელს ამ დღეს აღნიშნავს ბელგიური ფონდი“ბავშვთა ფოკუსი“. დაკარგული და სექსუალურად ექსპლუატირებული ბავშვებისთვის ამ დღეს მოსახლეობა იხსენებს მთელ მსოფლიოში გამქრალ და დაკარგულ ბავშვებს, ამხნევებენ მშობლებს რომლებმაც არაფერი იციან მათი შვილების შესახებ. შვეიცარიაში ამ დღეს 2002 წლიდან აღნიშნავს ფონდი **F.R.E.D.I.** საფრანგეთში ამ დღეს აღნიშნავენ 2003 წლიდან. არსებობს „ევროპაში დაკარგული ბავშვები“-ს ფედერაცია. პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა 1983 წელს დაადგინა დაკარგულ ბავშვთა ეროვნული დღე. ის შეძრა 1979 წელს ეტან რაცის დაკარგვამ... ევროკავშირში ყოველ წელს იკარგება 250 000 ბავშვი, ევროკომისიის ანგარიშით ყოველ ორ წუთში იკარგება 1 ბავშვი. ბავშვებს იტაცებენ მშობლები, ბავშვები გარბიან. არის კრიმინალური გატაცებები. არიან მარტო მოხეტიალე მიგრანტი ბავშვები. გამქრალ ბავშვთა 2–5% არის კრიმინალურ გატაცებათა მესამედი, იუწყება „ევროპაში დაკარგული ბავშვების“ ანგარიში, რომელიც გამოიცა 2014 წელს. ამავე ანგარიშის თანახმად ბავშვთა სახლიდან გაქცევა არის ბავშვთა დაკარგვის შემთხვევების 50%-ზე მეტი. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ციფრების თანახმად 2013 წელს დაიკარგა 47 759 ბავშვი. შემთხვევათა უმრავლესობა გაირკვა. 46 800 ბავშვი გაქცეული იყო სახლიდან. საშუალოდ წლიწადში გამქრალ ერთ ბავშვს ვერ პოულობენ. დიდი ბრიტანეთში ყოველ წელს იკარგება 140 000 ბავშვი. ბელგიაში ყოველ დღე არის ოთხი გამქრალი ბავშვის ახალი შემთხვევა. გერმანიაში ყოველ წელს იკარგება 100 000 ბავშვი. მაგრამ შემთხვევათა 99%-ში ბავშვებს პოულობენ. აშშ-ში 2014 წელს დაიკარგა 466 949 ბავშვი ვის აინტერესებს გამქრალი ბავშვების ბედი? ბერჯაკეს დილივეს განმარტებით, საზოგადოებრივ აზრს დრო და დრო ცოტა ხნით აღვიძებს ბავშვთა გაქრობის საქმეები. მაგრამ მედია ხმაური მთავრდება და ინტერესიც ქრება. ბავშვის დაკარგვის შემთხვევაში თუ გამოვრიცხავთ მის გაქცევას სახლიდან, რჩება სამი ვარიანტი. უბედური შემთხვევა: როგორც წესი პოულობენ სხეულს. სადისტური მკვლელობა: ხშირად სხეულს პოულობენ (ზოგჯერ ბავშვის დაკარვიდან დიდი ხნის შემდეგ). გატაცება: თუ კი არაა გამოსასყიდის მოთხოვნა ძალიან იშვიათია შემთხვევები როდესაც იპოვეს გატაცებული. მაგრამ თუ კი ბავშვი ვერასოდეს იპოვეს აქაც შეიძლება იყოს სხვადასხვა შემთხვევა: დაკარგული ბავშვი შეიძლება იყოს მკვდარი, მისი სხეული კი განადგურებული ან სადღაც ძალიან გულდაგულ დამალული. ცოცხალია, მაგრამ სადღაც დაპატიმრებულია და გარეგნულად ფანტასტიკური ჰიპოთეზებიც შეიძლება ლოგიკური იყოს. ბერჯაკესი იხსენებს 2002 წელს ბარსელონაში, „ბავშვთა ღირსების საერთაშორისო კომიტეტის“კონფერენციას — ბავშვთა უფლებების შესახებ. შვეიცარიის კანტონის და ბავშვის. ღირსებისთვის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატის ჯორჯ გლაცის გამოსვლას- „არსებობს პედოფილიის თუ პედოკრიმინალის სამი ფორმა: შიდაოჯახური პედოფილია (ინცესტი). ინსტიტუციური პედოფილია პროფესიების მეშვეობით. არის პროფესიები რომელთა მეშვეობითაც მტაცებელი იოლად ამყარებს უშუალო კონტაქტს პატარა ბავშვებთან. კიდევ არის ინდუსტრიული პედოფილია. პედოფილიის. ეს მესამე და განსაკუთრებული ფორმა. ძნელად დასანახია და ამიტომ ფართო საზოგადოება მას სულ არ იცნობს: „ის ეხება ეკონომიკური რენტაბელობის ასპექტებს, ჯორჯ გლაცის განმარტებით, ჩვენ საქმე გვაქვს საბაზრო ეკონომიკის უაღრესად ორგანიზებულ პარალელურ სტრუქტურებთან... არის მოთხოვნა და არის მაფიური ტიპის ორგანიზაციები რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას... „შესანიშნავი“ ბიზნესია, მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი მაფიური ტიპის ორგანიზაციები ბავშვის სხეულს თითქმის უფასოდ შოულობენ. შუამავლების რაოდენობა უფრო მცირეა ვიდრე მაფიური ბიზნესის სხვა ტიპებში... გაეროს სპეციალიზებული სააგენტო შრომის საერთაშორისო ბიურომ 2001 წელს თქვა რომ ბავშვებით ვაჭრობით შემოსავალი წელიწადში უდრის დაახლოებით შვიდ მილიარდ დოლარს (შემდეგ ეს ფული თეთრდება და ირეცხება). ამის გასაკეთებლად მაფიურ ორგანიზაციებს აქვთ რისკთა შესამცირებლი სტრუქტურები. ისინი განსაკუთრებით მიმართავენ კორუფციას...კორუმპირებულთა შორის კი არიან პოლიციელებიც და მოხელეებიც... ასე მაგალითად შამბერის სააპელაციო სასამართლოს ძიების პალატის თავმჯდომარე 2000 წლის ივნისში 10 თვით დააპატიმრეს სამი მცირეწლოვან გოგონაზე ძალადობის გამო... საინტერესოა, როგორ იძიებდა ის მცირეწლოვანთა გაუპატიურების საქმეებს...გლაცის განმარტებით პედოფილები დღეს აღარ კმაყოფილდებიან ტიტველი თუ გაუპატიურებული ბავშვების ფოტოებით და გამოსახულებებით, მათ უნდათ ბევრად მეტი სისასტიკე, განსაკუთრებით წამების ამსახველი. გაქცეული, გადარჩენილი ბავშვები ბევრია და ისინი ხშირად აღწერენ ერთი და იგივე ტიპის საშინელ წამებებს. პარალელურ ბაზარზე ეხლა 20 000 ევროდაც იყიდება ვიდეო ან სრულმეტრაჟიანი ფილმი რომელშიც ერთი ან მრავალი ადამიანის წამება, მკვლელობა, თვითმკვლელობა, გაუპატიურება და სხვა უბედურებებია აღწერილი. ამ იატაკქვეშ გადაღებულ ფილმებში გადაღებული უნდა იყოს რეალური ადამიანის მკვლელობა და წამება და ეს არ უნდა იყოს მსახიობის თამაში. **„snuff movies“** — (სნაფ მუვის) თემა იქცა ხალხური კულტურის თემად და ფილმთა გარკვეული რაოდენობა ეხება ამ თემას რომელიც ასევე არის ლიტერატურაში და ვიდეოთამაშებში. ეს საშინელება დაიწყო სწორედ სექსუალური რევოლუციის ხანაში 1970-ან წლებში კინოს ზოგი მიმდინარეობა. ცდილობდა ძალადობის და სიკვდილის რაც შეიძლება უფრო უხეშად რეალისტურად გადმოცემას. ბელგიის საელჩოს მრჩეველმა მირიენნი კოიმ, ევროპაში კრიმინალურ ქსელებზე ათწლიანი დაკვირვების შემდეგ 2003 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში იგივე თქვა ამ ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე. ამ ორგანიზაციების ერთადერთი კრედო და ერთადერთი მიზანია რაც შეიძლება მეტის მოგება, რაც შეიძლება მეტი ფულის მოხვეჭა. ხერხებს შორისაა ეროვნული თუ საერთაშორისო ქსელების შექმნა, ადმინისტრაციებში შეღწევა ინფილტრაცია, გავლენიანი მოხელეების, პოლციელების, შანტაჟი და მოსყიდვა, უხილავად დარჩენა. გაეროს საგანგებო წარმომადგენელმა ხუან მიგელ პეტიტმა 2003 წელს განაცხადა: „პოლიციამ აღმოაჩინა რომ ბავშვთა პორნოგრაფიაში ჩაბმული ინდივიდები, მჭიდროდ არიან დაკავშირებული მართლმსაჯულების კორპუსის წევრებთან. მრავალ სრულწლოვანს (პედოკრიმინალს) კავშირი ჰქონდა გავლენიან სამართალდამცველებთან და თანამდებობის პირებთან...ბრიტანული ჟურნალი 2000 წლის პირველ ოქტომბერს აღნიშნავდა რომ რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა რეალურ ბავშვთა გაუპატიურებების, წამების და მკვლელობის მაჩვენებელი სნუფფ-მოვიეს-ების გადამღები რეჟისორი დმიტრი კუზნეცოვი რომლის „ქმნილებებსაც „ყიდულობდნენ მრავალ ქვეყანაში მცხოვრები სადისტები და პედოფილები. გამოძიება ორი წელი გრძელდებოდა. არსებობდა ეჭვი, რომ კუზნეცოვმა „დაიქირავა“ 15 წლის დაახლოებით 100 ბიჭი. იტალიელი გამომძიებლები ამბობენ რომ მათ აქვთ სამხილები ამ კასეტების მყიდველი ფუნქციონერების, დაახლოებით 500 კაცის წინააღმდეგ...2000 წლის გაზაფხულზე ჟურნალისტებმა სერგი გარდი და ლორენს ბენიქსმა (ლე ფიგარო) გაამჟღავნეს ზანდვორტის „სიდი რუმი“-ს არსებობა. ამ „სიდი რუმში“ იყო 8500 პედოსექსუალური დოკუმენტი. მათ გაამჟღავნეს ჰოლანდიური პოლიციის მიერ დადგენილი საქმეც. საქმე კი დადგინდა „სიდი რუმიდან“, რომელშიც იყო მცირეწლოვანთა 472 ფოტო. ვინ არიან საფრთხეში მყოფი ეს ბავშვები? ჟურნალისტებმა, მშობლებმა, ასოციაციებმა და სპეციალისტებმა დაიწყეს ძიება და დაადგინეს საქმეში მონაწილე ოციოდე ბავშვის ვინაობა. ინსტიტუტების, პოლიციის და იუსტიციის მხრიდან იყო უხერხული სიჩუმე, ავად ხსენება თუ დაცინვა, ხანდახან დეზინფორმაციაც რათა დაემალათ მრავალ საქმეში პედოსექსუალობის ფაქტიური შეწყალება დრო და დრო იყო აქციები რათა პასუხი გაეცათ ამიერიდან აყვირებული საზოგადოების მოთხოვნებისთვის.



**(გაგრძელება იქნება)**

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „მშვიდობის მტრედი“ ზელენსკის გალიაში ფართხალებს



„არნახულად ბინძურად ჩატარებული“, — ასეთი შეფასება მისცეს ევროპელმა და ამერიკელმა მიმომხილველებმა უკრაინაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს. სავარაუდოდ, დასავლელი ჟურნალისტები წინასაარჩევნო პერიოდსაც გულისხმობდნენ, რადგან ამომრჩევლისთვის სამოქმედო პროგრამების წარდგენისა და გაცნობის ნაცვლად, კომპრომატების ფრიალი იყო. მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ყველა კონკურენტში მოსკოვის, კრემლის აგენტს ხედავდა. თავად პეტრო ალექსეევიჩს კი ისეთი ბრალდებები წაუყენეს, არათუ პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევას, სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც კი „გაქაჩავდა“.

„მაიდანის“ ცნობილი მოვლენების შემდეგ, 2014 წლის გაზაფხულზე, როდესაც პოროშენკომ თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში დააყენა, უკრაინის მოსახლეობას დაპირდა, „მშვიდობის პრეზიდენტი“ ვიქნებიო. ხალხმა დაუჯერა და მან ამომრჩეველთა ხმების 60%-ზე მეტი მიიღო. თავისი საქმიანობა პოროშენკომ უკრაინელების გაოცებით დაიწყო. მთავრობა, ძირითადად, უცხოელებით დააკომპლექტა. პროფესიონალები არიანო, ამტკიცებდა. თუმცა რა „პროფესიონალიც“ იყო ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელიც ჯანდაცვის მინისტრად დანიშნა, საქართველოში კარგად გვახსოვს. მან უკრაინაშიც „გამოიჩინა“ თავი და სფეროში პრობლემებისა და სკანდალების შემდეგ პოროშენკომ გაათავისუფლა. საქართველოში ძებნილი მიხო სააკაშვილი ჯერ მრჩევლად მიიწვია, ხოლო მოგვიანებით ოდესის გუბერნატორად აღაზევა. იმავე დროს, საქართველოს მაგობარ ქვეყნად ასახელებდა. ეს, უბრალოდ, გასახსენებლად.

პრეზიდენტობის პირველი ვადის პერიოდში პოროშენკომ ვერ შეძლო დონბასში ომის შეჩერება, სადაც, საეთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, 13 ათასი ადამიანია დაღუპული, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები და ბავშვები. ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში კატასტროფულად გაუარესდა. კომუნალური მომსახურების გაზრდილი გადასახადების გამო მოსახლეობის უმეტესობას ვალები დაუგროვდა.

ყველა უბედურებას პოროშენკო რუსეთს აბრალებს. 2014 წელს. წინასაარჩევნო პერიოდში ბიზნესმენი პოროშენკო ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ გაპრეზიდენტებისთანავე წავიდოდა ბიზნესიდან. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. რუსეთში მდებარე საკონდიტრო ფაბრიკა, რომლიდანაც სოლიდურ მოგებას იღებს, დღესაც პოროშენკოს მფლობელობაშია. ამის გამო ოპოზიცია გაოცებული და გაბრაზებული ეკითხებოდა, თუ როგორ ებრძოდა რუსეთს და, იმავე დროს, მტერი ქვეყნის ბიუჯეტში სოლიდური გადასახადები შეჰქონდა და დღემდე შეაქვს.

„პრივატბანკის“ მფლობელი, პოროშენკოს ყოფილი თანამებრძოლი იგორ კალამოისკი, რომელიც ახლა ისრაელშია გაქცეული, უკრაინის ეკონომიკის დანგრევაში პრეზიდენტს ადანაშაულებს. მისივე განცხადებით, პოროშენკოს ქონება ბოლო ხუთი წლის მანძილზე 82-ჯერ (!) გაიზარდა. ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში ტოტალური სიდუხჭირეა. საინტერესოა, რომ კალამოისკიმ პოროშენკო შარშან ქერჩის სრუტეში მომხდარ ინციდენტში (სადაც რუსმა მესაზღვრეებმა საზღვრის დარღვევისთვის 3 კატარღა და 24 მეზღვაური დააკავა) დაადანაშაულა და მის მიერ მოწყობილი პროვოკაცია უწოდა (გვახსოვს საქართველოში მოქმედი კალამოისკის „ტაო-პრივატბანკი“, რომლის ჩვენი ქვეყნიდან წასვლა საეჭვოდ დაემთხვა ლარის კურსის დაცემას).

საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში სამხედრო სფეროშიც ყოფილა კორუფცია. წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები ტექნიკის სთადარიგო ნაწილებს ორმაგ ფასად ყიდულობდნენ. როგორც გაირკვა, შეძენილი ნაწილები უხარისხო, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი ყოფილა. შესყიდვებს პორიშენკოს უახლოესი მეგობარი ვინმე სვინარჩუკი ხელმძღვანელობდა. სკანდალის თავიდან ასაცილებლად პოროშენკომ სვნარჩუკი სფეროს ჩამოაშორა, მაგრამ დაგვიანებით. სამხედრო მოსამსახურეები, პოროშენკოს, ფაქტობრივად, გაემიჯნენ. ეს ნათლად გამოჩნდა, როდესაც ორი კვირის წინ ის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში იმყოფებოდა. ჯარმა მათავარსარდალს მისალმებაზე არ უპასუხა.

წინასაარჩევნო პერიოდში უკრაინაში შიშობდნენ, პოროშენკოს რამე ახალი ავანტიურა არ წამოეწყო. პირველ ტურში გამარჯვება კი არა, სავარაუდოდ მეორე ტურში (რომელსაც პოლიტოლოგები პროგნოზირებდნენ) მისი გასვლაც სათუო იყო. რამდენიმე ქალაქში დაგეგმილი წინასაარჩევნო სააგიტაციო მიტინგი ჩაეშალა, რადგან მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხი, მათ შორის რადიკალური ნაციონალებიც, უწმაწური შეძახილებით ხვდებოდნენ. პოროშენკოს შტაბი იძულებული გახდა, ორ-სამ შეხვედრაზე საიმედო ხლხი მიეყვანათ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, გარკვეული ანაზღაურების საფასურად. პოროშენკო იძულებული გახდა, ტელევიზიით მონოლოგის რეჟიმში ეწარმოებინა წინასაარჩევნო აგიტაცია, სადაც ერთსა და იმავეს იმეორებდა.



პოროშენკომ მხოლოდ მოსახლეობაში კი არა, სახელისუფლო სტრუქტურებშიც დაკარგა მხარდამჭრები. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ სააგიტაციო პერიოდში დააფიქსირეს ამომრჩეველთა მოსყიდვის უამრავი ფაქტი. მინისტრ არსენ ავაკოვის განცხადებით, დარღვევების 60%-ზე მეტი პოროშენკოს მომხრეების მხრიდან დაფიქსირდა. სამაგიეროდ, უშიშროების სამსახური აქტიურად უჭერდა მხარს პრეზიდენტს. საარჩევნო კომისიებში, სადაც 90%-ზე მეტი პოროშენკოს მომხრეები იყვნენ, უშიშროების თანამშრომლებიც გაამწესეს, რომელთა მეთვალყურეობითაც მიმდინარეობდა არჩევნები. პოპროშენკოს ყოფილი „ძმა და მეგობარი“, ორი ქვეყნიდან გაძევებული სააკაშვილი პოროშენკოს პირველივე ტურში უწინასწარმეტყველებდა დამარცხებას, ამიტომაც შეკვეთილი ჰქონდა 1 აპრილს თვითმფრინავის ბილეთი კიევის მიმართულებით. თუმცა არჩევნების დასრულებისთანავე გადაიფიქრა უკრაინის დედაქალაქში გამგზავრება. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პოროშენკოს შტაბში კონსულტანტად სააკას თანამებრძოლი გიორგი ვაშაძე გახლდათ. ნეტა, რითი დაეხმარა უკრაინელ მეგობარს, როდესაც თავის ქვეყანაში საკუთარ მოგვარესაც ვერაფერი არგო?

როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები მიზერული გამჭვირვალობით ჩატარდა. საარჩევნო უბნებზე ვიდეოკამერები არ ჰქონდათ; კანდიდატებს საარჩევნო ბიულეტენებში ნომრები არ ჰქონდათ მიწერილი, რის გამოც ამომრჩეველი დიდ დროს ატარებდა კაბინაში; საარჩევნო სიებში კი უამრავი გარდაცვლილი აღმოაჩინეს. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ კალმებში სიმპატიკური მელანი იყო, რომელიც შემდეგ ქრებოდა. საარჩევნო უბნებთან და ქალაქებში, შეიარაღებული პირების გარდა, მძიმე ტექნიკაც იყო გამოყვანილი. საერთო ჯამში ორ ათასზე მეტი საჩივარი ყოფილა დაწერილი. ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის აღძრულია სისხლის სამართლის ხუთი საქმე.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური უკრაინაში დასრულდა. წინასწარი მონაცემებით, როდესაც ბიულეტენების მხოლოდ 55% იყო დათვლილი, 31%-ით ლიდერობს კანდიდატი ვლადიმირ ზელენსკი, რომელიც იუმორისტი მსახიობია და არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს. როგორც ამბობენ, მას ზემოთნახსენები კალამოისკი უჭერს მხარს. მეორე ადგილზე 16%-ით ჯერჯერობით პოროშენკოა, ხოლო მესამე ადგილს 13,5%-ით იულია ტიმოშენკო იკავებს, რომელსაც, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდება. მეორე ტურში გასვლა პოროშენკომ წარმატებულად შეაფასა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას დაბალი რეიტინგი აქვს. პეტრო პოროშენკომ ზელენსკი დებატებში გამოიწვია, რაზეც ოპონენტი დათანხმდა. აქვე სათქმელია, რომ წინასაარჩევნო ტელედებატებში არც პოროშენკო და არც ზელენსკი არ მისულა. მესამე მონაწილე იულია ტიმოშენკო კი მივიდა, მაგრამ ოპონენტების არყოფნის გამო დემონსტრაციულად დატოვა ტელევიზია. ზელტნსკიმ დებატებზე არყოფნა დაგეგმილი კონცერტით ახსნა, ხოლო პოროშენკოს არაფერი უთქვამს. იულია ტიმოშენკოს განცხადებით, მას, მინიმუმ, 6% ხმები მოპარეს არჩევნებზე და ამიტომ დაელოდება ხმების დათვლის დამთავრებას. იქნება თუ არა ახალი „მაიდანი“, ამის შემდეგ გამოჩნდება. მეორე ტური 21 აპრილს არის დანიშნული, თუმცა მანამდე როგორ მივა უკრაინა, საინტერესო ეს გახლავთ. ისე კი, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი ასეთი სხვაობით მარცხდება, თანაც მსახიობ-იუმორისტთან რომელ წარმატებაზეა საუბარი. სავარაუდოდ, მეორე ტურში პოროშენკო მხოლოდ სახელისუფლო რესურსზე (თუ დარჩა კიდევ) და გაყალბების იმედზე უნდა იყოს. საკითხავია, უშველის კი პოროშენკოს ამგვარი მანიპულაციები?





**გია ბურდული**
551 71 27 07

# ატრაწუნე

## პოლიტიკური ნოველა

(დაწერილია რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით)





ნიკას ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. ყელში მძღნერი მოაწვა. ძლივს აიზლაზნა. აბაზანაში წელმოწყვეტილი შეეთრა. სახეზე წყალი შეისხა. ოდნავ გამოფხიზლდა. ისევ ტირილი უნდოდა... ტირილი კი არა, ბღავილი უნდოდა. ოღონდ აქ არა, სახლში არა, გარეთ, სადმე თავყრილობაზე... თუნდაც ქუჩაში, რუსთაველზე, ან თავისუფლების მოედანზე. ჰო, უნდოდა, მთელი დუნიის წინაშე გამოსულიყო და ებღავლა, რომ ძალიან ცუდადაა სამშობლოს საქმე, რომ დედა მოეტ...ნა ყველას და ყველაფერს, რომ ყ...ეობაა ეს ყველაფერი და მეტი არაფერი. ნიკამ სარკეში ჩაიხედა, თვალები ჩალურჯებოდა, ბაგეები შესიებოდა. ისე გამოიყურებოდა, გეგონება მაგარ „პახმელიაზე“ იყო.

ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მისი ადგილი აღარ დარჩა საქართველოში. თითქოს კი არა, ასეა, აღარ დარჩა ერთი პატარა ჭუჭრუტანაც კი. არ არის ეხლა ეს ყ...ეობა?! დეპრესიაშია, სამშობლო დაემსგავსა კანალიზაციას, ეხლა ვართ უბანძესი სოფლის ბოლო. გამოვა და ამას იტყვის პირდაპირ ეთერში... იტყვის, რატომაც არ იტყვის? თუმცა ჯერ კვესიტაძემ უნდა თქვას, მაგრამ არ ამბობს. წკიპზეა ყველაფერი, ეს დედამოტ...ნული, უბრალოდ ფორმაა მოსაძებნი, რომ ამათ გააჯვან და აღარ იყოს ქვეყანა სოფლის ბოლო... გააბანძეს მამული, გაიგეთ? აბა, წადით და ნახეთ უნგრეთი, რა გააკეთეს გამოყ...ევებული უნგრელებისგან ავსტრიელებმა. ნიკა კრუნჩხვებში ჩავარდა, თვალები



მოხარშული თევზივით გადმოეკარკლა, პირიდან დორბლი გადმოუვიდა, ხელები ყანაში მდგომ საფრთხობელასავით დაეპრანჭა. ყოველთვის ასე ემართება, როცა გარეთ ქარი ქრის. არადა, ამ ბოლოს სულ ქრის. რუსმა ოლიგარქმა გაიგო მისი ავადმყოფობის შესახებ და ამიტომაც დაიწყო ხეების გლეჯვა გურია-აჭარაში. დიახ, რაც ეგ დენდროლოგიურ პარკს აშენებს, რაც ქვეყნის დასავლეთი მხარე მოაშიშვლა, სულ უბერავს თბილისში. ვის ატყუებს? ვითომ პარკიო, დასასვენებელი ადგილიო... არავინ დაიჯეროს, ეგ არი წმინდა წყლის ყ...ეობა, კანალიზაცია, მძღნერობა და ყანობა!

ტელეფონი რეკავს... ნიკა შეცბა. ვინ უნდა იყოს? ტელეფონს უხალისოდ, ხვნეშით დახედა. „კობა ნაყოფია, სირი“, – დაიწერა ეკრანზე. აუუუ... ეხლა ამას აუხსენი კიდე, რატომ ჩავარდა დეპრესიაში. რომც აუხსნას, გაიგებს?

– ჰო, კობა... გისმენ!

– რას შვრები, ნიკა? – გაისმა გაგუდული ხმა ტელეფონში.

– რას ვშვრები და... მძღნერი მახრჩობს!

– ჰო, ეგ ვიცი... მეც მაგ დღეში ვარ, ჩემს ირგვლივ სუ ტრაწიანობაა.

– ეეეჰ, ყ...ეობა ყოფილა ეს ცხოვრება, გუშინ მალტეზი კოკო დავმარხეთ. მე არ ვიცი, რატომ უტოვებენ კატებს მილიონებს, მაგრამ ჩემს უსაყვარლეს კოკოს გავაყოლეთ დიდი სიყვარული და დიდი ტკივილი. შეიძლება გამიჭირდეს ახსნა, მაგრამ ეს ჩემთვის უმძიმესი ტრაგედიაა. ასეთი სტრესი იშვიათად გადამიტანია მეც კი, ძალიან სტრესულ და მძიმე ცხოვრებაგამოვლილ ადამიანს. ბოდიში ყველასთან, მაგრამ უნდა ავიღო ტაიმაუტი, ადეკვატურობა რომ დამიბრუნდეს. ამ მდგომარეობაში ძალიან გამიჭირდება რაიმეს გაკეთება, – ამოიგმინა ნიკამ.

– ვაააა... მალტეზაანთ კოკო მოკვდა, ტოოო? რა კაი კაცი იყო, სუ გვეხმარებოდა ხოლმე არჩევნებში, საწყალი მალტრეზაანები, რით გინდა, რომ ანუგეშო? გეთქვა, რაღაცით დავეხმარებოდი, – მიუგო კობამ.

– რა მალტრეზაანი? – მიუხვდა ნიკა, რომ ნაყოფიას კოკო ადამიანი ეგონა.

– კოკოშა, კაცო, ჩვენთან რო იყო შტაბში.

– არა, რააა... ჩემი ძაღლი მოკვდა, ბიჭო, ძაღლი, ფოტოს ჩაგიგდებ „ფეისბუქში“, გამოყ...ევდები!

– ააა... ჰოოო... მდააა... ჰმ...

ჰმ...

– აეგრეა, ძმაო, გავთავდი, გატრაწიანდა ჩემი გული და რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ვეღარ გასუფთავდება... დიახ, რაც უნდა ხეხოთ ქვიშითა, ვერასდროს გათეთრდებისა!

– ააა... ჰოოო, მდააა... მეც მგონია, რომა... აი, როგო გითხრა, გარშემო სუ ტრაწია და ჩვენ კიდე ტრაწიანელები ვართ, მეტის მოთმენა შეუძლებელია. ბიჭო, ერთი რა მაგის პასუხია და... მიშამ დარეკა გუშინ, ტელევიზორში ბიძინას ხეების თემა ისევ გააააქტიურეთო. ვუთხარი, ჰო-მეთქი, მაგრამ როგო უნდა გავააქტიურო, არ ვიცი, თითი რას უნდა დავაჭირო? – დაუწია ხმას ნაყოფიამ.

– აუ, მაგანაც ხო ცალკე შემიკიკინა, რააა... მელაძეს ვეტყვი და გააააქტიურებს, შენ არაფერი გაგაგება მაგისი.

– აგაშენა ღმერთმა, რაღა არ ვიფიქრე.

– კარგი, ეხლა თავი დამანებე, საკუთარ ჩატრაწულ სულს უნდა მივხედო, დეპრესიაში ვარ... პრინციპში, ამას დეპრესია კი არა, ტრაწპრესია ჰქვია. თან ეკას უნდა დაველაპარაკო, იქნებ მოიფიქროს რამე, იქნებ დამაბრუნოს რეალურ სამყაროში, – ისევ ამოიხვნეშა ნიკამ და ტელეფონი გათიშა.

ისევ მოაწვა ნიკას ყელში მძღნერი, ლამის პირიდან გადმოუვიდა. კვლავ აწკრიალდა ტელეფონი – ეკრანზე დაიწერა: „ეკლექტურა კვნესო ეკა“.

– ჰო, ეკუშ, გისმენ, – ამოიკვნესა ნიკამ.

– რას შვრები, რაზე უნდა ვიბაზროთ ამ კვირას?

– მე ვერ ვიბაზრებ, ამ კვირას მარტო იბაზრებ, ტრაწპრესია მჭირს გაქანებული!

– რა?

– ეეჰ... ვერ გაიგებ, ახალი დაავადებაა, ვირუსია, სულს რომ გიტრაწიანებს, ეგ არი, რააა!

– უი, არ ვიცოდი, სექსის დროს გადადის? – იკითხა გაოცებულმა კვესიტაძემ.

– ჯერ არ ვიცი... მარტო ის დავადგინე, რომ ვირუსი სოლოლაკიდან მოდის. ეკუშ, დამიჯერე, დედა გვაქ მოტ...ნული და 2020 წლის ბოლომდე კიდე უფრო მოგვეტ...ნება!

– მაშ, მაშ, მაგას მეც ვგრძნობ, ჩემი შემოსავლები შემცირდა.

– ეს ყველაფერი ყ...ეობაა!

– ვიცი.

– ჰოდა, პირდაპირ ეთერში გამოდი და თქვი, გამოაცხადე, რომ ყ...ეობაში ვართ.

– ვერა.

– რატომ?

– შოთა არ მომიწონებს მაგას, სულ მეუბნება, რომ მე წესიერ ოჯახში ვარ გაზრდილი, გვარამიას ნუ აჰყვები, დაგღუპავსო, – შეაპარა ფრთხილად ეკამ.

– ნუ, ეხლა რა უნდა ვთქვა?

– ჩემ შოთიკოზე ცუდი არაფერი წამოგცდეს!

– არა, მე შინაურ ყ...ეებზე კომენტარს არასოდეს ვაკეთებ.

– ჰოდა, კარგსაც შვრები.

– ესე იგი, პირდაპირ ეთერში არ იტყვი, რომ ეს ყველაფერი ყ...ეობაა, ხომ?

– ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, 2020-ში – ვნახოთ.



ნიკას სახეზე ალმური წაეკიდა. ტელეფონი საწოლზე მოისროლა. ხედავ? ყველა საკუთარ ტრაკს უფრთხილდება, ჯერ არაო, ჯერ ვერაო, ვნახოთო. ჰმ... რა გამოდის, მარტო ნიკაა საზარბაზნე ხორცი? ერთი სირი ამსტერდამში გაიქცა და იქიდან უკითხავს ლექციებს, ულვაშებიანი მეორე სირი დადის ბეთჰოვენასავით და იძახის, პრეზიდენტი ვარო. დანარჩენ სირებს ერთი ადგილის აწევა არ უნდათ. ერთი ხანობა ფიქრობდა, საერთოდ გასცლოდა აქაურობას, გამოაცხადა კიდევაც, თუ ის „ქადჟი“ პრეზიდენტი გახდებოდა, სადმე გადაიხვეწებოდა, მაგრამ ვერ ქნა, ვერ გარისკა, აქ ფული მაინც აქვს თავზესაყრელად, სხვაგან ვინ რას მიაშავებდა? არა, კი ეყოფოდა კაიხანს, რაც მოაგროვა, მაგრამ მტერი როგორ გაახაროს, როგორ ათქმევინოს რუს ოლიგარქს, ნიკას სამშობლოდან დავახვევინეო? ვერ მიართვეს, ტონობით წითელ წიწაკას შეჭამს, აჯიკასაც დააყოლებს, პრასსაც, ნიორსაც, ხახვსაც, პილპილსაც დაიყრის ენაზე, მდოგვსაც წაისვამს ყურებზე და მტერს მაინც არ გაახარებს.

ნიკამ კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში.

უცებ სარკე დაიორთქლა... ნიკამ მაჯით გადაწმინდა, კიდევ უნდოდა, საკუთარი თვალებში ჩაეხედა და ძალა მოეკრიბა. თითქოს სარკე გაიბზარა, გადაწმენდილ ადგილზე ერთი მცირე ადგილი დარჩა, სადაც ჭაღარა, ულვაშებიანი მოხუცის სახე გამოიკვეთა.

– ბატონო ავლიპ, თქვენ? – ნიკას ყბები მოეღრიცა.

– დიახ, ბატონო ნიკოლოზ, ამხანაგო ნიკოლოზ... იცით, რა მაინტერესებს? თქვენი აზრით, ადამიანის გადმოგდება ზემოდან ქვემოთ უფრო ადვილია, თუ ქვემოდან ზემოთ აგდება?

– არ ვიცი, ბატონო ავლიპ... ამ წუთას აშკარად ვგრძნობ, რომ მძღნერში ვგორაობ, ტრაწპრესიაში ვარ.

– აი, საქმეც მაგაშია, ყმაწვილო... თქვენ ამ წუთას გორაობთ იქ, სადაც მთელი ცხოვრება გორაობდით, მაგრამ ადრე ამას ვერ გრძნობდით.

– რატომ, რატომ ვერ ვგრძნობდი?

– ოოო... ეს ძალიან რთული შეგრძნებაა, როგორ გითხრათ... ეს ბალეტია... ერთი ეს მითხარით, რატომ მოხვედით მაინც და მაინც ჩემთან? – ჩაიცინა ულვაშებში ავლიპმა.

– მე მოვედი? არა, ეს თქვენ მოხვედით, – აუკანკალდა ხმა ნიკას.

– როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, აგერ მიდევს თქვენი განცხადება, სადაც სიტყვა-სიტყვით სწერია, რომა... ჩემთან შეხვედრას ითხოვთ. აგერ, ხელსაც აწერთ – „ატრაწუნე“. უკაცრავად, ეს თქვენი ფსევდონიმია?

ნიკას თვალები უფრო ჩაუსისხლიანდა, ყელში ისევ მძღნერი მოაწვა... ცოტა ხანს იდგა ასე გამოშტერებული, მუხლები უკანკალებდა. მერე ჩაიკეცა და გონება დაკარგა. სად ჰქონდა გონება, მაგრამ ამ დროს ასე იტყვიან ხოლმე.

**გგელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ვიდრე ევრაზიული დათვი შემჭამდეს...

საქართველოში მოქმედ საავტორო უფლებათა დამცველ ასოციაციასა (GCA -ხელმძღვანელი ბატონი გიგა კობალაძე) და ახლადშექმნილ ანალოგიურ კომპანიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. ერთი ამტკიცებს, რომ იგი ერთადერთი და შეუცვლელია; „რასაც აკეთებს, ყველაფერს ლაზათიანად აკეთებს"; მეორის აზრით, კობალაძის ასოციაცია საქმეს ვერ უძღვება; ქართველი ავტორების უფლებები არ არის სათანადოდ დაცული; ჯეროვნად ვერ და არ თანამშრომლობს რუსულ (ევრაზიულ) ანალოგიურ ორგანიზაციებთან; მისი ქმედებები აშკარად გაუმჭვირვალეა და ახალი ალტერნატიული კომპანიის შექმნა უკიდურესი აუცილებლობით არის გამოწვეული; რომ მისი შექმნით ქართველი ავტორების მატერიალური ანაზღაურება ბევრად გაუმჯობესდება...

ბუნებრივია, მომხრეები და მოწინააღმდეგეები ორივე მხარეს ჰყავს. თუმცა, ახალი კომპანიის ავტორიტეტი და პოპულარობა ყოველდღიურად იზრდება, რაც კობალაძის ასოციაციის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს. რაც მთავარია, უკან დახევას არცერთი მხარე არ აპირებს.

სწორედ ამ დაპირისპირების შერბილების, პრობლემათა მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყვეტისკენ მოწოდების მიზნით გამოვაქვეყნე წერილი „საერთო გაზეთში", რასაც ბატონი კობალაძის მომხრეებისგან საკმაოზე მეტად მწვავე რეაქცია მოჰყვა – თურმე არ ვიცნობ პრობლემას, ვარ ტენდენციური, ვავრცელებ სიცრუეს, არ მესმის ქართული ინტელექტის ოკუპაციის არსი, ვერ ვხედავ რუსეთის იმპერიულ ზრახვებს და ა.შ.

თავის მართლებას ნამდვილად არ ვაპირებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემი მრავალწლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში იქნებ შევმცდარვარ კიდეც, მაგრამ შეგნებულად სიცრუე არასოდეს (არასოდეს!) გამივრცელებია. მე „ვავრცელებ" საგნებისა და მოვლენების შესახებ ჩემს მოსაზრებებს, რომლებიც შეიძლება ზოგს მოეწონოს და ზოგს – არა. ეს არის სულ.

**„ინტელექტუალური საკუთრების შემთხვევაში საფრთხე რომ ნამდვილია, საკმაოდ ნათელი და თვალსაჩინოა"**, მწერს ერთ-ერთი ოპონენტი (ბატონი მირო კულულაშვილი). კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ტერმინი „ოკუპაცია" სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დროებით დაკავებას ნიშნავს. არამატერიალური ღირებულების (სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, სიძულვილი, ტკივილი, შიში, გონი, ინტელექტი...) ოკუპაცია შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, საუბარი ქართული ინტელექტის ოკუპაციაზე, არამარტო სულელური, არამედ საზოგადოების (ამ შემთხვევაში – ქართული საზოგადოების სწორედ ინტელექტუალური ნაწილის!) უგუნურებაზე გათვლილი უკიდურესად შეურაცხმყოფელი ავანტურაა. მეორე მხრივ, ქართული ინტელექტის საქართველოს ფარგლებს გარეთ გადინება მის ოკუპაციას არ ნიშნავს. ასეა იმ შემთხვევაშიც, თუ „ინტელექტის ოკუპაციას" მხოლოდ ხატოვან გამოთქმად განვიხილავთ. საავტორო უფლებათა დამცველის პრეტენზიის მქონე ორგანიზაციას ასეთი ზერელობა არ ეკადრება.

საავტორო უფლებათა დამცველი ახალი ქართული კომპანიის შექმნა დიახაც არის პრობლემური, მაგრამ მხოლოდ მოქმედი ასოციაციისთვის და არა ქართველ შემოქმედთა არმიისთვის. საქართველოს მოქალაქეებს გვაქვს კონსტიტუციურად გარანტირებული არჩევანის თავისუფლება და უარგუმენტო დემაგოგია კობალაძის ასოციაციის ერთადერთობაზე ვერაფერს შეცვლის.

ჩემი აზრით, ყოვლად უღირსი საქციელია ჯიუტი და გაუთავებელი სპეკულაციები „ქვეყნის ევროპული კურსისადმი შექმნილი საშიშროებით". GCA თვითონვე აღიარებს, რომ მას **„უკვე წლებია გაფორმებული აქვს 202 უცხოურ ანალოგიურ ორგანიზაციასთან ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულება, მათ შორის რუსეთის ორგანიზაციასთანაც და ამისათვის, მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულების შესრულებაა საჭირო, რომ რუსეთის ორგანიზაციამ უნდა შეაგროვოს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ქართველი ავტორების ჰონორარი (რომელი საქმიანობის განხორციელებაშიც ასოციაცია ტერიტორიულობის პრინციპის დაცვის გამო ვერ ჩაერევა) და მოახდინოს ამ ჰონორარის ასოციაციისათვის გადახდა"**.

ანუ, მართალია, ასოციაციას რუსეთის ანალოგიურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს, მაგრამ ჩვენ იმ საზიზღარ ოკუპანტებთან არ ვითანამშრომლებთ, კეთილი ინებონ და ჩვენი კუთვნილი ჰონორარები თვითონვე შეაგროვონ და გადაგვიხადონო. თანაც, მამუნათებენ, ევრაზიულ კავშირთან თანამშრომლობა **„პირდაპირი დარტყმაა ჩვენი ქვეყნის ევროპულ კურსზე, რაშიც, სამწუხაროდ, საფრთხეს თქვენ ვერ ხედავთო"**.

სანამ მე და ჩვენი ქვეყნის ევროპულ კურსს ევრაზიელი დათვი შეგვჭამდეს, მოვასწრებ და ვიტყვი, რომ ორ იურიდიულ სუბიექტს შორის თუნდაც უმწვავესი დაპირისპირების პოლიტიკურ საბურველში გახვევა, მისი არცთუ სახარბიელო ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირება და ოპონენტი კომპანიის სამშობლოს ღალატში დადანაშაულება არაფერია შექმნილი ვითარებიდან თავის დაძვრენის, პრობლემის ხელოვნურად გაბუნდოვანების მცდელობის გარდა. სწორედ ამას ემსახურება ასოციაციის მტკიცება, რომ **„ახალი ორგანიზაცია რა თქმა უნდა რუსული პროექტია: 1. იქმნება რუსეთის ფინანსებით; 2. პირდაპირი რეაქციაა ასოციაციის მიერ ევრაზიის კავშირში გაწევრიანების უარზე; მიზნად ისახავს (ჩვენი ასოციაციის) წარმატების დაკნინებას, სიტუაციის არევას, მოსარგებლეებში გაურკვევლობის წარმოშობას და და. შ. და ა. შ.**



ახლა ორიოდე სიტყვით, ახალი ორგანიზაციის შექმნის კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

ბატონი გიგა კობალაძე და სხვებიც წარბშეუხრელად ამტკიცებენ, რომ **„კანონის მიხედვით, სფეროში შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი კოლექტიური ორგანიზაცია, ხოლო ახლად შექმნილი ორგანიზაცია იმავე კატეგორიაში ცდილობს კოლექტიური საქმიანობის განხორციელებას, რითიც ირღვევა კანონი"**. ამის დასტურად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონსაც იშველიებენ.

ეს გახლავთ კანონის მეათე თავი, „ქონებრივ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე", კერძოდ, 63-ე მუხლი: „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნა".

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების მართვას საქართველოში ახორციელებენ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები, რომლებმაც ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადეს ხელშეკრულებები უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან...

6. დაშვებულია შექმნა ცალკეული ორგანიზაციებისა უფლებების ან უფლებათა მფლობელების სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით ან/და ორგანიზაციებისა, რომლებიც მართავენ უფლებათა ერთი კატეგორიის მფლობელთა სხვადასხვა უფლებას.

ალბათ ვერც მე და კონსულტაცია რომ ვთხოვე, ვერც ის იურისტები ვერ ვხედავთ და იქნებ ვინმე დამეხმაროთ – სად არის აქ ნათქვამი, რომ „სფეროში მხოლოდ ერთი ორგანიზაცია უნდა შეიქმნას"?

მართალია, ბატონი გიგა კობალაძის ასოციაციას ბოროტი ხმები გაუმჭვირვალობას აბრალებენ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავხედურად გამჭვირვალე დემაგოგიასთან – კანონი სრულიად არაორაზროვნად ლაპარაკობს არა ერთადერთი უფლებადამცველი ორგანიზაციის, არამედ **ორგანიზაციების** (მრავლობით რიცხვში!) შექმნაზე.

რაიმე საქმიანობის გამჭვირვალობა ამ საქმიანობაზე დაკვირვების, მისი დოკუმენტურად შემოწმების შესაძლებლობას გულისხმობს. კობალაძის ასოციაციას გაუმჭვირვალობაზე იმიტომ ედავებიან, რომ ქართველ ავტორებს არა აქვთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია მისი შემოსავლების წყაროების, რაოდენობის, აღრიცხვისა და განაწილების შესახებ. არც შეიძლება ჰქონდეთ, ვინაიდან თვითონ ასოციაციას დღემდე არ გააჩნია შემოსავლების აღრიცხვისა და განაწილების მეტნაკლებად ეფექტური მექანიზმი.

რასაც ახლა ვიტყვი, ეს უკვე ბევრჯერ ითქვა ქართულ მედიაში, მაგრამ რატომღაც უყურადღებოდ რჩება. კობალაძის ასოციაციას მისი აწ უკვე ყოფილი პარტნიორი რუსული PAO, რომელსაც თავის სამოქმედო არეალში დამონტაჟებული აქვს შესაბამისი აპარატურა, სისტემატურად და პატიოსნად უგზავნიდა რუსულ სივრცეში ქართველი ავტორ-შემსრულებლების მიერ შესრულებული ნაწარმოებების სიას შესაბამისი ჰონორარებით. ვიმეორებ – უგზავნიდა არა უბრალოდ რაღაც განსაზღვრულ თანხას, არამედ სიასაც, ამ ჰონორარიდან ვის რამდენი ეკუთვნოდა. კობალაძის ასოციაცია კი ამ ჰონორარებს ანაწილებდა არა მოწოდებული სიის მიხედვით, არამედ საკუთარი შეხედულებისამებრ: ამას კვარტალში სამასი ლარი, იმას – ხუთასი, სხვას – შვიდასი და ა. შ.სწორედ ეს თვითნებური განაწილება გახდა რუსული ორგანიზაციის მხრიდან ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზი.

მართალია, ბატონი კობალაძე ამტკიცებს, ჰონორარების განაწილების პროცესი სრულიად გამჭვირვალეაო, მაგრამ თუ პროცესში ჩაიხედავ, ძნელია, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს: საქართველოში არსებულ რესტორნებთან GCA-ს დადებული აქვს ხელშკრულებები, რომლის ძალითაც, ცალკეულ რესტორანში არსებული სკამების რაოდენობის მიხედვით ხდება ფიქსირებული თანხის გადახდა. შესაძლოა, „პეტრე" „პავლეზე" უკეთესი და პოპულარული მუსიკოსი იყოს, მაგრამ ფარცხანაყანევის ვეგეტერიანელთა რესტორანში პავლეს მუსიკა გაცილებით უფრო ხშირად სრულდებოდეს. შესაბამისად, პავლეს ჰონორარი პეტრესაზე ბევრად მეტი უნდა იყოს. აი, ამას კი, ვის რამდენი ჰონორარი ეკუთვნის, თავად ბატონი გიგა კობალაძე განსაზღვრავს, რომლის შეუმცდარ ალღოში თურმე ეჭვი არ უნდა შევიტანოთ!

უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, ქართული უფლებადამცველ ასოციაციას არასდიდებით არ უნდა ჰონორარის თვითნებურად გამნაწილებლის როლის ხელიდან გაშვება გასაგები მიზეზების გამო, არც ასოციაციის ფინანსურ ლაბირინთებში უცხო ცხვირის ჩაყოფა აწყობს.

ძალიან საეჭვოდ გამოიყურება ასოციაციის დაპირება, რომ „მიმდინარეობს მოლაპარაკება ესპანურ კომპანიასთან, რომელიც მას უახლოეს მომავალში მიაწვდის უახლეს აპარატურას ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად". ძალიან უბრალო მიზეზის გამო, ეს ქიმერას ჰგავს – იმ ესპანურ კომპანიას არავითარი აპარატურა არ გააჩნია.

სამაგიეროდ, ახლადშექმნილი ქართული კომპანიის რუსეთში, ევრაზიულ ქვეყნებში და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი კომპანიონი მზად არის ეს მრავალმილიონიანი აპარატურა საქართველოშიც დაამონტაჟოს და შემოსავლების აღრიცხვა-განაწილების პროცესიც აბსოლუტურად გამჭვირვალედ გადააქციოს.

GCA-ს სწორედ ეს, „თავის" სფეროში შემოსავლების ცივილიზებული აღრიცხვა-განაწილების პერსპექტივა, აღელვებს. თუ ამას დაუშვებს, ხელიდან ეცლება ყოვლისშემძლე უფლებადამცველის სტატუსი და, რაც მთავარია, ქართველ მუსიკოსთა ყულაბაში ხელის ფათურის შესაძლებლობა. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში რომ არ დამდოთ ბრალი, მოგახსენებთ, რომ ეს გონივრული ეჭვია და ბატონი გიგას მიერ დამკვიდრებულმა აღრიცხვიანობის შუასაუკუნეობრივმა მეთოდმა აღმიძრა: იგი თავისთავად ჩნდება, როცა ჰონორარის გადანაწილების პროცესი ერთი კაცის ნება-სურვილზეა დამოკიდებული

ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის, ურაპატრიოტული აღტყინება, ყოვლად ჩვეულებრივი ბლეფია – სატყუარა გონებაჩლუნგებისთვის.

საქართველოში ისედაც დაძაბული ვითარებაა და ცეცხლზე ნავთის დამატება საქვეყნო საქმეს ნამდვილად არ წაადგება. კიდევ ერთხელ, ჩემო ძვირფასებო, იქნებ მშვიდ ვითარებაში მოლაპარაკებებზე იფიქროთ?

**თეიმურაზ ქორიძე**
**25. 03. 2019 წელი**



# „კათარზისის“ ფინანსური ანგარიში

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

*საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის „კათარზისის“ მეგობრებს და მენეჯმენტს.*

*მოსაზრება*

ჩვენ შევამოწმეთ სკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები") შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად.

*მოსაზრების საფუძველი*

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სკ კათარზისისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ 1095 ასს 700 (გადასინჯული) ფარგლით რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს [იურისდიქციას]–ში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

*მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები*

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე IFRS -ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის განსაზღვრა, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.



მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

*აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის*

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და ძირნტულია, როგორც არსებითი, თუ, ერთიანადად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით. როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის სამუშაოებით. ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების გაყალბებით ან შეცდომით დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და ვაცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძვლის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენი აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან განმარტებებს, ან, თუ აღნიშნული განმარტებები არის არაადეკვატური, შევცვლიოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა
- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანების ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განხილვისას აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დაასრულოს და გავლენა მოახდინოს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

აუდიტის შემსრულების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის [illegible].

შპს მ&მ აუდიტი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

25 მარტი, 2019



## სჰკ „კათარზისი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

| | შენიშვნები | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება | 5 | 182,347 | 160,142 |
| არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება | 5 | 1,274 | 339 |
| მთლიანი გრძელვადიანი აქტივები | | 183,621 | 160,481 |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| მარაგები | 6 | 60,122 | 44,675 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | | - | - |
| მოთხოვნები მიწოდებიდან | 7 | 5,740 | 5,535 |
| გაცემული ავანსები | | 905 | 661 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 8 | 74,250 | 66,675 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | - |
| მთლიანი მიმდინარე აქტივები | | 141,017 | 117,547 |
| სულ აქტივები | | 324,638 | 278,028 |
| ვალდებულება და კაპიტალი | | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| მიღებული ავანსები | | - | (1,260) |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | 9 | (2,185) | (2,409) |
| შრომის ანაზღაურება | 9 | (1,271) | - |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9 | - | - |
| საგადასახადო ვალდებულებები | 9 | (706) | (1,085) |
| მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები | | (4,162) | (4,757) |
| მთლიანი ვალდებულებები | | (4,162) | (4,757) |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | (30,391) | (30,391) |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | | (27,480) | (1,507) |
| რეზერვები და დაფინანსება | | (242,880) | (241,375) |
| ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი | | (19,725) | - |
| მთლიანი კაპიტალი | | (320,476) | (273,271) |
| მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი | | (324,638) | (278,028) |

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-[illegible]

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მესხელიშვილი

31 იანვარი, 2019
თბილისი, საქართველო

## სჰკ „კათარზისი“ მოგება–ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

| | შენიშვნები | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | | (1,024,310) | (953,831) |
| ხელფასი და ადმინისტრაციული დანახარჯები | | 301,728 | 337,256 |
| ცვეთის ხარჯი | | 38,607 | 44,045 |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება | | 654,216 | 561,086 |
| მოგება საოპერაციო საქმიანობიდან | | (29,759) | (11,444) |
| კურსთა შორის სხვაობა | | 15 | - |
| საპროცენტო ხარჯი | | - | - |
| ფინანსური ხარჯი | | 15 | - |
| საპროცენტო შემოსავალი | | (3) | (2) |
| ფინანსური შემოსავალი | | - | - |
| მოგება ფინანსური საქმიანობიდან | | 12 | (2) |
| სხვა შემოსავალი | | (6,863) | (1,528) |
| სხვა ხარჯები | | 23 | 2,754 |
| მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე | | (36,588) | (10,220) |
| მოგების გადასახადი | | 9,108 | 8,713 |
| გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის | | (27,480) | (1,507) |

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-[illegible]

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მესხელიშვილი

31 იანვარი, 2019
თბილისი, საქართველო

## სჰკ „კათარზისი“ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

| | საწესდებო კაპიტალი | საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი | რეზერვები და დაფინანსება | ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 იანვარი, 2018 | (30 391) | (1 507) | (241 373) | - | (273 271) |
| მოგება წლის განმავლობაში | - | (28 201) | - | (19 725) | (47 926) |
| საწესდებო კაპიტალი | - | - | - | - | - |
| 31 დეკემბერი, 2018 | (30 391) | (29 708) | (241 373) | (19 725) | (321 197) |

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-[illegible]

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მესხელიშვილი

31 იანვარი, 2019
თბილისი, საქართველო

## სჰკ „კათარზისი“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 877,972 | 972,870 |
| მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები | (740,161) | (838,271) |
| გადახდილი გადასახადები | (117,116) | (106,848) |
| წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან | 20,695 | 37,751 |
| საინვესტიციო საქმიანობა | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (13,120) | (35,428) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | - | - |
| მიღებული საპროცენტო შემოსავალი | - | - |
| წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან | (13,120) | (35,428) |
| წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან | - | - |
| წმინდა ფულის ზრდა/ (შემცირება) | 7,575 | 2,322 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 66,675 | 64,352 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | 74,250 | 66,675 |

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-[illegible]

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მესხელიშვილი

31 იანვარი, 2019
თბილისი, საქართველო



# „წვიმის ადამიანები“


ბილ გეიტსი

2 აპრილი აუტიზმის (აუტიზმი – ნერვული სისტემის განვითარების დარღვევა, რომელიც დაბადებიდან სამი წლის ასაკში ვლინდება) პრობლემის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დღეა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველი 160 ადამიანიდან ერთს აუტისტური სპექტრის რაიმე დარღვევა მაინც აქვს. მათ „წვიმის ადამიანებსაც“ უწოდებენ.

„წვიმის ადამიანები“ საკუთარ სამყაროში ცხოვრობენ. ამის გამო მათ ძალიან უჭირთ გარშემო მყოფებთან ურთიერთობა, მაგრამ სამყაროს განსაკუთრებული აღქმისა და იმის წყალობით, რომ ისინი კოლოსალურ ყურადღებას უთმობენ დეტალებს, საყვარელ საქმეში უდიდეს წარმატებას აღწევენ.

„წვიმის ადამიანებს“ შორის ბევრი ცნობილი და წარმატებული ადამიანია.


ენტონი ჰოპკინსი

### კორტნი ლავი, ამერიკელი მომღერალი

კურტ კობეინის ქვრივს რთული ბავშვობა ჰქონდა. მისი მშობლები მაშინ გაიყარნენ, როცა გოგონა ხუთი წლის იყო. დედას მშობლის უფლება ჩამოართვეს, რადგან ბავშვს LSD-ს ასმევდა. აუტიზმის დიაგნოზი 9 წლის ასაკში დაუსვეს. რთული ხასიათის გამო თანაკლასელებთან ვერ ურთიერთობდა და სწავლაშიც პრობლემები ჰქონდა. ამის გამო სკოლიდან გააგდეს. მოზარდობის ასაკში გამოსასწორებელ დაწესებულებაშიც მოხვდა. კორტნიმ ბევრი პროფესია გამოიცვალა — იყო დიჯეი, სტრიპტიზის მოცეკვავე, სწავლობდა ღვთისმეტყველებას. 80-იან წლებში მისი კინოში გადაღება დაიწყეს, მერე როკ-ჯგუფი ჩამოაყალიბა და ცოლად გაჰყვა „ნირვანას“ ლიდერს. 2012 წელს მისი, როგორც მხატვრის დებიუტი შედგა.

აუტიზმის მქონე ადამიანის პირობაზე, კორტნი ლავი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა, მაგრამ მის შემოქმედებაში (ლექსები და კინოროლები) აშკარად ჩანს, როგორ უფსკრულს ხედავს იგი საკუთარ თავსა და სხვა ადამიანებს შორის.

### ლუის ქეროლი, ინგლისელი მწერალი

აბსურდული რომანი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ექსცენტრული წიგნია, რომელიც ძალიან გიტაცებს. მისი შექმნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელსაც სამყაროს განსაკუთრებული აღქმა გააჩნდა. ლუის ქეროლს აუტისტური სპექტრის აშლილობის აშკარად გამოხატული ნიშნები ჰქონდა. მას ბავშვობიდანვე არ შეეძლო ადამიანებთან ყოფნა, იყო ძალიან მორცხვი, რასაც უფრო აძლიერებდა მისი ენაბლუობა. როგორც ბევრ აუტისტს, ლუისსაც გამორჩეული მათემატიკური ნიჭი ჰქონდა. მან ბევრი შრომა დაწერა ამ სფეროში. გარდა ამისა, ლუის ქეროლი გატაცებული იყო ფოტოგრაფიითა და ჭადრაკით.

### ენტონი ჰოპკინსი, ბრიტანელი მსახიობი

ბავშვობაში ჰოპკინსს დისლექსია ჰქონდა და ძალიან უჭირდა სწავლა. ბიჭუნამ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება ხელოვნებისთვის დაეკავშირებინა, ხოლო 15 წლის ასაკში ცნობილ მსახიობთან რიჩარდა ბარტონთან შეხვედრამ მისი პროფესიული არჩევანი განსაზღვრა — ენტონიმ გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო.

ენტონი ჰოპკინსი აღიარებს, რომ მაც ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს, მას ძალიან მოსწონს ადამიანების ქცევის შესწავლა და იტაცებს, როცა აანალიზებს პერსონაჟების მიერ ჩადენილი დანაშაულებების მოტივებს.

### დერილ ჰანა, ამერიკელი მსახიობი

აუტიზმის დიაგნოზი ბავშვობაშივე დაუდგინეს. დერილის მშობლებს შესთავაზეს, ბავშვისთვის ფსიქოტროპული მედიკამენტებისს ემკურნალათ სპეციალიზებულ კლინიკაში, რაზეც მათ უარი განაცხადეს. გოგონა ძალიან მორცხვი იყო და უძილობით იტანჯებოდა, სწორედ ამის გამო დაინტერესდნენ მისით კინომწარმოებლები.

მიუხედავად საკუთარ თავში დაურწმუნებლობისა და პუბლიკის შიშისა, მსახიობმა ათობით ფილმში ითამაშა და ბევრი ჯილდოც დაიმსახურა. საკუთარი დიაგნოზი მან მხოლოდ 2013 წელს გაამხილა.

### სიუზან ბოილი, შოტლანდიელი მომღერალი

2009 წელს ირლანდიელი ემიგრანტების შვილმა ბრიტანული „ნიჭიერში“ გაიმარჯვა. 2010 წელს კი დიდ ბრიტანეთში დაიდგა მიუზიკლი, რომელიც სიუზანის ცხოვრებას ასახავდა.

სიუზანი მრავალშვილიანი ოჯახის მეათე შვილია. მას ძალიან უჭირდა სწავლა, რის გამოც თანაკლასელები დასცინოდნენ. მუშაობა არ შეეძლო და ინვალიდის პენსიით ცხოვრება უწევდა. გოგონას ყველა მცდელობა, კონკურსებში მიეღო მონაწილეობა და მომღერალი გამხდარიყო, მარცხით მთავრდებოდა.

2009 წელს „ნიჭიერში“ გამოჩენის შემდეგ სიუზან ბოილმა გამოუშვა 7 ალბომი, მონაწილეობა მიიღო ფილმში „საშობაო სანთელი“ და მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული და მდიდარი ადამიანი გახდა.

### სტენლი კუბრიკი, ამერიკელი რეჟისორი

ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი და უდიდესი კინემატოგრაფისტი, რომელმაც გადაიღო ისეთი შედევრები, როგორიც არის „2001 წლის კოსმოსური ოდისეა“, „ლოლიტა“ და „ნათება“. ემპათიის არქონა რეჟისორთან მომუშავე მსახიობებისთვის ნამდვილ გამოცდად იქცა — იგი ხშირად იქცეოდა უხეშად, არ აინტერესებდა კოლეგების პრობლემები და შეუსრულებელ მოთხოვნებს უყენებდა მათ. სტენლი კუბრიკის აუტანელი ხასიათი საშინელი სტრესი იყო გარშემომყოფთათვის, რაც მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც კი აისახებოდა.

### ბილ გეიტსი, ამერიკელი მილიარდერი, MICROSOFT-ის ერთ-ერთი შემქმნელი

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი აუტისტია. იგი ძალიან უცნაურად იქცეოდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, არაჩვეულებრივი განათლება მიეღო, რაშიც მდიდარმა ნათესაობამაც დიდი მონაწილეობა მიიღო. მოზარდობის ასაკში იგი ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერების კითხვით იყო გატაცებული და სრულიადაც არ აინტერესებდა თანატოლებთან გართობა და სპორტული ასპარეზობები. გეიტსის ოჯახი დაპირისპირებასა და კონკურენციაზე იყო ორიენტირებული, რაც მომავალი მილიარდერის პიროვნებაზეც აშკარად აისახა. თორმეტი წლის მიღწევისთანავე იგი მიხვდა, რომ მომავალი პროგრამირებას ეკუთვნის...

### ვუდი ალენი, ამერიკელი რეჟისორი, ოთხი „ოსკარის“ მფლობელი

ვუდი ალენს ბევრი უცნაურობა ახასიათებს და ბევრი ფობია აწუხებს, რაც იმით აიხსნება, რომ იგი აუტისტია. მას ეშინია ბავშვების, ძაღლების, სიმაღლის, მზის, მწერების, კიბოსი და... სიკვდილის. „სიკვდილი არ მინდა, — ხუმრობს ვუდი, — ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამ მოვლენის დროს იქ არ ვიყო!“

ვუდი ალენმა იცის თავისი სუსტი მხარეები და ადეკვატურად აღიქვამს მათ.

**„წვიმის ადამიანები“:** ალბერტ აინშტაინი, რეჟისორი ტიმ ბერტონი, თომას ჯეფერსონი, იაპონელი გეიმდიზაინერი სატოსი ტაძირი, ვინსენტ ვან გოგი, ემილი ელიზაბეთ დიკინსონი, ჯეინ ოსტინი, მარია კიური, ვოლფანგ ამადეუს მოცარტი, მსახიობი რობინ უილიამსი, მუსიკოსი დევიდ ბირნი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, აბრაამ ლინკოლნი, ვირჯინია ვულფი, მუსიკოსი ბობ დილანი, ჯეიმს გარფილდი, ენდრიუ ჯეკსონი...

...და ჩვენს გვერდითაც ბევრი „წვიმის ადამიანი“ ცხოვრობს...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


სტენლი კუბრიკი


ალბერტ აინშტაინი

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983